# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 9 მარტი 2006 №52 (2674) ფასი 50 თეთრი





# მადლობა ყველას!

## მილანმა თამაში და ბაიერნის განადგურება კახა კალაძის კაპიტნობით დაამთავრა

წუხელ „მილანმა“ „ბაიერნს“ 4:1 მოუგო და, დაგვეთანხმებით, ბევრი ამ შედეგს ნამდვილად არ ელოდა. რაღა ბევრი გავაგრძელოთ, აგერ, „სარბიელი“ და აგერ, კახა კალაძე, საქართველოს ნაკრების კაპიტანი, ვინც წუხელ კარიერაში საუკეთესო თუ არა, ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა.

...76-ე წუთი: „მილანის“ თავკაცმა კარლო ანჩელოტიმ ანდრეი შევჩენკო მასიმო ამბროზინით შეცვალა, „შევამ“ კი კაპიტნის სამკლავური კალაძეს გადასცა...

— ძალიან მაგრად ვითამაშეთ. ყველანი გახარებულები ვართ. ისეთ გუნდს, როგორიც „ბაიერნია“, შანსი არ დავუტოვეთ — გვითხრა ნამატჩევს კახამ.

**— მოგება ერთია, მაგრამ ასეთი ანგარიშით გამარჯვებას ელოდით?**

— თავიდანვე წაგვივიდა თამაში, მწვრთნელმა რაც დაგვავალა, ყველაფერი ბრწყინვალედ შევასრულეთ, ეგაა, პირველი ტაიმის ბოლო ათი წუთი გაგვიჭირდა, ოდნავ მოვეშვით.

**— 2:1 რომ გახდა, „ბაიერნი“ მაგრად მოგაწვათ...**

— არც მიკვირს, მათ ხომ მეორე გოლი უნდოდათ, მაგრამ ფაქტია, ყველა რგოლში დავჯაბნეთ. მათ აქცენტი ძირითადად ფლანგურ შეტევებზე და სტანდარტულებზე ჰქონდათ, მაგრამ ჩვენნაირი ინდივიდუალისტები არ ჰყავთ.

**— შესვენებისას კარლო ანჩელოტიმ რა გითხრათ?**

— განსაკუთრებული არაფერი, უნდა გვეთამაშა ისე, როგორც თავიდან დავიწყეთ. ჰოდა, ვითამაშეთ.

**— „მილანმა“ მოიგო, მთელი საქართველო კი შენ გქომაგობდა...**

— მინდა, ყველას ულრმესი მადლობა გადავუხადო — გუნდს, კლუბის შეფობას, მეგობრებს და, რა თქმა უნდა, ქართველ ხალხს, ვინც გვერდში დამიდგნენ იმ გასაჭირში. ყველას მადლობა...

**— ყველაზე სასიამოვნო კი ჩვენთვის ის იყო, რომ „მილანს“ ბოლოს უკაპიტნე კიდეც...**

— ვინც მინდორზე ვიყავით, ყველაზე სტაჟიანი მილანელი ჯერ შევჩენკო იყო და მერე მე. ასე რომ, მგონი, მერგებოდა კიდეც კაპიტნობა და, ცხადია, მეამაყება კიდეც.

გიორგი ვაშაკიძე

# გთხოვთ, ფეხზე ადგეთ

## დღეიდან ყველა იქნება მშვიდად: უეფა კალენდარს განაჩენივით გამოიტანს



# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები. ნუხელ

*მილანი (იტალია)* 4:1 ბაიერნი (გერმანია) (1:1)
1:0 ინძაგი (8), 2:0 შევჩენკო (25), 2:1 ისმაელი (35), 3:1 ინძაგი (47), 4:1 კაკა (59)
*შევჩენკომ ვერ გაიტანა პენალტი (23, აცილა)*
მილანი: დიდა, სტამი, ნესტა, კალაძე, სერჟინიო, ფოგელი, პირლო, ზეედორფი, კაკა (რუი კოშტა 86), შევჩენკო (ამბროზინი 76), ინძაგი (ჯილარდინო 72)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
ბაიერნი: კანი, სანიოლი, ლუსიო, ისმაელი, ლიზარაზუ (ზე რობერტო 52), დაისლერი (შოლი 63), დემიკელისი, შვაინსტაიგერი, ბალაკი, მაკაი (პ. გერერო 46), კ. პიზარო
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: ფოგელი, დემიკელისი, სანიოლი, ნესტა, გერერო
მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)
80 476 მაყურებელი

*არსენალი (ინგლისი)* 0:0 რეალი (ესპანეთი) (1:0)
არსენალი: ლემანი, ებუ, ტურე, სენდეროსი, ფლამინი, გლები (ბერხკამპი 87), ფაბრეგასი, ჟილბერტო სილვა, რეიესი (პირესი 68), ლიუნგბერგი, ანრი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
რეალი: კასილიასი, სალგადო (რობინიო 84), სერხიო რამოსი, რაულ ბრავო, რობერტო კარლოსი, ბექემი, გრავესენი (ჟულიო ბაპტისტა 68), გუტი, ზიდანი, რაული (კასანო 73), რონალდო
მწვრთნელი: ხუან რამონ ლოპეს კარო
გაფრთხილება: გუტი, რობერტო კარლოსი, გრავესენი, ანრი, რაულ ბრავო
მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)
38 500 მაყურებელი

ლივერპული (ინგლისი) 0:2 *ბენფიკა (პორტუგალია)* (0:1)
0:1 სიმაო (36), 0:2 მიკოლი (89)
ლივერპული: რეინა, ფინანი, კარაგერი, ტრაორე, უორნოკი (ჰამანი 70), ლუის გარსია, ჯერარდი, ხაბი ალონსო, კიუელი (ჯ. სისე 63), მორიენტესი (ფაულერი 70), კროუჩი
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
ბენფიკა: მორეტო, ალსიდესი, ლუიზაო, ანდერსონი, ლეო, მ. ფერნანდეში, ბეტუ, რობერი (რიკარდუ როჩა 70), ჟოვანი (კარაგუნისი 60), სიმაო, ნუნუ გომეში (მიკოლი 77)
მწვრთნელი: რონალდ კუმანი
გაფრთხილება: რობერი, კროუჩი, ხაბი ალონსო, ნუნუ გომეში, ჯერარდი, ფერნანდეში
მსაჯი: მასიმო დე სანტისი (იტალია)
45 000 მაყურებელი

*ლიონი (საფრანგეთი)* 4:0 პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) (1:0)
1:0, 2:0 ტიაგუ (26, 45), 3:0 ვილტორდი (71), 4:0 ფრედი (90)
ლიონი: კუპე, კლერკი, კრისი, მიულერი, აბიდალი, ტიაგუ (ჟ. კლემანი 80), მ. დიარა, ჟუნინიო (პედრეტი 76), ვილტორდი, მალუდა, კარეუ (ფრედი 66)
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
პსვ ეინდჰოვენი: გომესი, ლუსიუსი, ადო, ალექსი (აისატი 76), რაიციგერი, სიმონსი, აფელაი, კოკუ, კულინა (ვაირინენი 57), ფარფანი (ბისლი 57), კონე
მწვრთნელი: გუს ჰიდინკი
გაფრთხილება: ჟუნინიო, აფელაი, კოკუ, კოკუ
გაძევება: კოკუ (42)
მსაჯი: მაიკ რაილი (ინგლისი)
42 000 მაყურებელი


AFP მილანიდან
ანდრეი შევჩენკო და ფილიპო ინძაგი — „მილანის" ოთხი გოლიდან სამი ამათია

# იტალიამ გერმანია ისევ გააბურთავა

ჩემპიონთა ლიგის საპლეიოფო ეტაპზე უმნიშვნელო თამაშები აღარ არის, ყველა მნიშვნელოვანი და გამორჩეულია, თუმცაღა მათგანაც შეიძლება უფრო მეტად მნიშვნელოვანთა გამორჩევაც. ჩვენთვის ასეთი თამაში, რაღა თქმა უნდა, ის მატჩი იყო, „სან სიროზე" რომ გაიმართა და მასპინძელთა ფანობა რომ გაახარა.

„მილანის" გასახდელში, ჩვენი დაკვირვებით, მატჩის წინ დაბნეულობა სუფევდა, რის საბუთადაც ანდრეა პირლოს ტრუსი შეგვიძლია წარმოვადგინოთ: სხვა მილანელები მოედანზე თეთრი ტრუსებით გავიდნენ, პირლოს კი რატომღაც შავი ეცვა. ფეხბურთელს, ცხადია, დროულად მიუთითეს და მანაც ალკაზმულობა უმალ წესრიგში მოიყვანა.

თამაშის დაწყებიდან რვა წუთში კი დაბნეული „ბაიერნი" დარჩა. სერჟინიოს ფლანგურ პასზე შევჩენკო და ინძაგი წავიდნენ, საგოლე თავური კი იტალიელისა იყო.

მალევე ინძაგი გერმანელთა საჯარიმოში წაიქცა. იტალიელთა ვერსიით, ის წააქციეს, ბაიერნელთა რწმენით კი ინძაგიმ წაიმსახიობა. არბიტრმა ივანოვმა ინძაგის მსახიობობა არ ირწმუნა და პენალტი დანიშნა. შესრულება შევჩენკომ ითავა და ბურთი კარს ააცილა, რისთვისაც ოლივერ კანისგან ნიშნის მიგება დაიმსახურა — არამი პენალტი არ შეგერგოო.

უპირიანი კი იქნებოდა, კანი ჩუმად ყოფილიყო, რაკი ცოტა ხანში შევჩენკომ გოლი მაინც გაუტანა — 2:0.

ეს ანგარიში, ფაქტობრივად, თამაშის პირველ ტაიმშივე მოგებას ნიშნავდა, მაგრამ მეკარე დიდამ „ბაიერნს" იმედი გაუხანგრძლივა — ბასტიან შვაინსტაიგერის საჯარიმო დარტყმას ვიწრო ცოცხალი კედელი ალუმართა. ღონივრად დარტყმული ბურთი კედელს იოლად აცდა, ვერც დიდამ შეიმაგრა ხელში და დამატებაზე ისმაელმა ერთი გოლი გაქვითა. ეს გოლი კი, თავის მხრივ, საინტერესო მეორე ტაიმს გვპირდებოდა.

მაგრამ ინტრიგა თამაშის განახლებისთანავე დაიკარგა — სტუმარმა მცველებმა სრულიად მიუტევებელი შეცდომა დაუშვეს და ინძაგის კიდევ ერთხელ მისცეს თავის გამოჩენის შანსი, რასაც კაკამ მალე მეოთხეც მიაყოლა და ბოლო 30 წუთი ფორმალობადღა იქცა.

ამგვარად, „მილანი" და კახა კალაძე მეოთხედფინალში არიან, თანაც გუშინდელ მოგებაში კალაძის წვლილიც საკმაოა — მან უშეცდომოდ ითამაშა.

ეგებ ვინმემ მისტიკურ დამთხვევადაც ჩათვალოს, რომ ამავე ანგარიშით ამას წინათ ფლორენციაში იტალიის ნაკრებმა გერმანია დაამარცხა.

ჯერ „მანჩესტერი", გუშინწინ „ჩელსი", გუშინ კი ლიგას მესამე ინგლისური კლუბი — ჩემპიონთა თასის ახლანდელი მფლობელი „ლივერპული" გამოაკლდა.

ლივერპულელებს ლისაბონში ერთი ბურთით ჰქონდათ წაგებული და როცა გუშინ სიმაო საბროსამ „ბენფიკა" „ენფილდზეც" დააწინაურა, „ლივერპული" უმძიმესი ამოცანის წინაშე დადგა — სამი გოლის გატანა მართებდა. სამი გოლის საჭიროება, ცხადია, „ბითლზის" ქალაქელთა შარშანდელ გმირობას გაგახსენებდათ, მაგრამ ერთი და იგივე გმირობა ყოველწუთას ჩაიდინო, ეგრე სად არის. ბოლოსწინა წუთზე კი ფაბრიციო მიკოლიმ აკრობატულ ნახტომში მეორეც გაიტანა და „ბენფიკა", ვფიქრობთ, საყოველთაო მოლოდინის საპირისპიროდ, მომდევნო ეტაპზე გავიდა.

ისე კი, ლივერპულელებს იღბალი რომ ჰქონოდათ, ეგებ მართლა გაეხერხებინათ კიდევ ერთი სასწაული — პიტერ კრაუჩმა და ჯეიმი კარაგერმა ხარიხას გაარტყეს, იმავ კრაუჩის და ალონსოს დარტყმები კი მეკარე მარსელო მორეტომ მართლაც რომ სასწაულით მოიგერია...

ჩემპიონთა ლიგას აღარც თასის ბოლო მფლობელი ჰყავს და აღარც ცხრაგზის მფლობელი. მადრიდის „რეალი" შეჯიბრს შემორჩენილ ბოლო ინგლისურ კლუბთან დამარცხდა. უფრო სწორად, „ჰაიბერიზე" მატჩი ფრედ დასრულდა და „არსენალი" მეოთხედფინალში „ბერნაბეუზე" მოგების წყალობით გავიდა.

პირველი ტაიმი მთლიანად მასპინძლებისა იყო და ლონდონელთა ესპანელმა ხოსე რეიესმა ძელსაც გაარტყა ბურთი.

„რეალი" შესვენების მერეღა გამოცოცხლდა, ოღონდ მადრიდელთა იერიშები აგონიას უფრო წააგავდა.

და „ლიონი" — გუნდი, რომელმაც ბარე ორი უკვე გაამწარა და ვინძლო კიდევ გაამწაროს.

პირველი ტაიმის მიწურულს ეინდჰოვენელებს კაპიტანი ფილიპ კოკუ გაუძევეს მეორე გაფრთხილებით, მაგრამ ვერავინ იტყვის, მხოლოდ ეს იყო პსვ-ს განაჩენის მიზეზიო.

ამ მატჩში გოლი არ გაუტანია ჟუნინიოს და მის მაგივრად მატჩის გმირი დუბლის გამხერხებელი ტიაგო შეიქნა. თითოც სილვენ ვილტორდმა და ფრედმა გაიტანეს.

ახლა გასარკვევი ის არის, „ინტერი" თუ „აიაქსი"? მომდევნო კითხვები და წყვილები მერე იქნება.

**ირაკლი ნინიძე**


AFP ლივერპულიდან
პიტერ კროუჩის „ლივერპული" ანდერსონის „ბენფიკასთან" ვერაფერს გახდა

## გერმანია
მეორე ბუნდესლიგა
გადადებული მატჩები
ბრაუნშვაიგი 0:1 კოტბუსი
დინამო 1:2 ფიურტი

## ბელგია
თასის მეოთხედფინალი
საპასუხო მატჩი
*სტანდარდი* 4:2 გენტი (1:2)

## სლოვენია
სი მობილ ლიგა
გადადებული მატჩი
პუბლიკუმი 1:0 მარიბორი

## რუსეთი
თასის მერვედფინალი
საპასუხო მატჩი
შინიკი 0:2დ.დ.(0:1) *რუბინი* (1:0)

## ავსტრია
თასის
მერვედფინალი
*პაშინგი* 3:1 გრაცერი
*მატერსბურგი* 3:0 შვანენშტადტი
*კაპფენბერგი* 2:0 ლინცერი
ავსტრია (ლ) 1:1დ.დ.(პენ.2:4) *რაპიდი*
ავსტრია (ვ) — ტიროლი
*გადაიდო*
ავსტრია (მ) — რიდი
*გადაიდო*
ალტახი — შტურმი
*გადაიდო*

## თურქეთი
თასის მეოთხედფინალი
პირველი მატჩები
მალათია 1:0 გაზიანთეფი
ფენერბაჰჩე 2:1 გალათასარაი



AFP ლონდონიდან
„არსენალი" ხარობს, ზიდანი კი გუშინაც თავჩახრილი გავიდა მოედნიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საფრანგეთი უკრაინასთან საქართველოთი ივაჭრებს



ბადრი ქეთილაძის ფოტო

უჩა უგულავა და ნოდარ ახალკაცი

**დღეს** საღამოს ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მეორე ჯგუფის კალენდარი შედგება. საფრანგეთის, იტალიის, უკრაინის, შოტლანდიის, ლიტვის, საქართველოს და ფარერების წარმომადგენლები ერთხელაც მიუსხდებიან მოლაპარაკებათა მაგიდას და... თუმცა სჯობს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერა[illegible]ური მდ[illegible] *უჩა უგულავას* მოვუსმინოთ, რომელსაც გუშინ შვეიცარიაში დავუკავშირდით...

— ნოდარ ახალკაცი და მე ახლა უეფას შტაბბინაში ვიმყოფებით. ჩვენს გარდა ხუთი ქვეყნის ფედერაციათა წარმომადგენლებიც აქ არიან. ველოდებით უკრაინელებს და როგორც ვიცი, თავად სურკისი ჩამოდის. ხვალ აქაური დროით თერთმეტის ნახევარზე შევიკრიბებით და კიდევ ერთხელ შევეცდებით საერთო აზრამდე მისვლას. თუ არადა, ნაშუადღევის ორ საათზე კენჭისყრას უეფა ჩაატარებს. იცით, რომ საქმეს უკრაინელთა პოზიცია ართულებს. მათ არ სურთ, ფრანგებმა შესარჩევი ციკლი სამი საშინაო შეხვედრით დაასრულონ. შესაძლოა, ხვალ კენჭისყრაზე უკრაინა — საფრანგეთისა და საქართველო — საფრანგეთის მატჩებში სტუმარ-მასპინძლის შეცვლის საკითხი დადგეს. ჩვენ ისედაც გვსურდა, შესარჩევი ციკლი თბილისური მატჩით დაგვესრულებინა. ფრანგებით თანახმანი არიან, ამ დათმობაზე წამოვიდნენ, ოღონდ კი შეთანხმებას მივაღწიოთ. ნებისმიერ შემთხვევაში, თბილისის დროით საღამოს ექვსი საათისთვის კალენდარი დამტკიცებული იქნება.

**გიორგი ნოზაძე**

# დავითაშვილმა ექვსქულიანები დათვალა, გატანილები ჯერ არ დაუთვლია

*თბილისური „ამერის“ მთავარმეგოლე სულიკო დავითაშვილი სეზონის განახლების შემდეგ ძველებური შედეგიანობით ველარ გამოირჩევა. ჩემპიონატის ორ და ამდენივე სათასო შეხვედრაში დავითაშვილმა სულ ერთი გოლის გატანა მოახერხა, არადა, საამისო შანსი ბლომად კი ჰქონდა.*

*ერთ-ერთი ყველაზე რეალური მომენტი* ***სულიკო დავითაშვილს*** *ზესტაფონში მატჩისას გაუცუდდა, უფრო სწორად, გააცუდებინეს. საჯარიმო მოედნის გარეთ მან მასპინძელთა მეკარეს გრიგოლ ჭანტურიას აართვა ბურთი და ცარიელ კარში დაარტყა, მაგრამ მეკარემ ხელებით მოიგერია და მსაჯ კვარაცხელიასგან ოდენ ყვითელი ბარათით დაისაჯა, არადა...*



ბადრი ქეთილაძის ფოტო

— იმ ეპიზოდში ბურთისთვის თავიდან სევასტი თოდუას ვებრძოდი, მან ბურთი უკან, მეკარეს დაუბრუნა და მეც მისკენ გავქანდი. ჭანტურიამ ჩემი მოტყუება სცადა და საჯარიმო მოედნის გარეთ გავიდა, ფეხდაფეხ გავყევი და ბურთიც დავატოვებინე — გვიყვება სულიკო დავითაშვილი — მოვტრიალდი, ცარიელ კარს გავხედე, დასარტყმელი პოზიცია შევარჩიე და... ჭანტურიამ ბურთი ორივე ხელით მოიგერია, არადა, დარტყმამდე მეგონა, ეგაა და, გავიტანე-მეთქი. მსაჯის გადაწყვეტილებამ კი ძალიან გამაკვირვა, მეკარე ნაღდად გასაძევებელი იყო, მაგრამ კვარაცხელიამ მხოლოდ ყვითელი უჩვენა, ხოლო ჩვენ ჯარიმა დაგვარტყმევინა.

— ზოგადად მატჩზე რას იტყვი, კარგი თამაში გამოვიდა...

— მართლა კარგი თამაში იყო. „ზესტაფონმა“ ცოტა გვაჯობა, მაგრამ მასპინძლები ჩვენც ბევრჯერ ავანერვიულეთ. ჩემი მომენტის გარდა, ორი-სამი რეალური შანსიც გვქონდა. მსაჯს მეკარე რომ გაეძევებინა, მერე სხვა საქმე იქნებოდა.

**— წლეულს ჯერ მხოლოდ ერთი გოლი რომ გაიტანე, რისი ბრალია?**

— რა გითხრა, ზოგჯერ არ მიმართლებს. მოედნები კი ახლა ისეთ მდგომარეობაშია, ბურთის გაკონტროლება მიჭირს და ინდივიდუალურად ისე ველარ ვთამაშობ, როგორც საჭიროა. უკვე გამოზაფხულდა, მოედნებიც მოფერიანდება და გოლებსაც მოვუხშირებ.

**— ისე, კარგად ხარ მომზადებული?**

— ნორმალურად, ყოველ შემთხვევაში, გოლების ვერგატანას მოუმზადებლობას ვერ დავაბრალებ.

**— ზესტაფონში „ამერმა“ მნიშვნელოვანი ქულები დაკარგა და, როგორ ფიქრობ, საჩემპიონო შანსები კიდევ დაგრჩათ?**

— რა თქმა უნდა, შანსი კიდევ გვაქვს და არც ვაპირებთ დანებებას. „ამერი“ ბოლო ტურამდე იბრძოლებს და ვნახოთ, რა გამოგვივა. ისე კი, ყველა კონკურენტთან სათამაშო გვაქვს, როგორც ამბობენ, ექვსქულიანი მატჩები გველის და თუ მოვიგებთ, ცხრილშიც მნიშვნელოვნად დავწინაურდებით.

— ჩემპიონობის ფავორიტად რომელი გუნდები მიგაჩნია?

— ბოლნისის „სიონი“ მგონია ყველაზე რეალური კანდიდატი. ამ გუნდს ახლა ძლიერი მწვრთნელი დაუნიშნეს და მეორე წრეში კარგი კალენდარიც აქვს — კონკურენტებს მასპინძლობს, ბოლნისში კი „სიონის“ დამარცხება ძნელი საქმეა.

— „დინამო“ რატომ არ ახსენე?

— არ მიმაჩნია ფავორიტად და იმიტომ. ბოლო დროს „დინამო“ შთამბეჭდავად ველარ თამაშობს. თუმცა ახლა ცხრილი არეულია, ჩემპიონობის შანსი კი ერთბაშად ხუთ გუნდს აქვს — „ზესტაფონს“, „დინამოს“, „ვიტ ჯორჯიას“, „სიონს“ და, რა თქმა უნდა, „ამერს“.

— „ზესტაფონთან“ კი წააგეთ, მაგრამ თასისკენ გადადგით ნაბიჯი და უკვე ნახევარფინალში ხართ. მეტოქე ასარჩევად რომ იყოს, ნახევარფინალში რომელ გუნდს ისურვებდი?

— „ვიტ ჯორჯიას“.

— რატომ?

— ძველი ანგარიშები გვაქვს და რევანში მსურს. შარშან ხომ სწორედ „ვიტ ჯორჯიასთან“ წავაგეთ.

**კობა ინასარიძე**



# გოლებიც ჩემია და ბალანსიც ჩვენია

ბოლო წლებში თბილისის „დინამო“ ხშირად აბიჯებს ერთიდაიგივე ნალმს, რომლის ამფეთქებელი ზურაბ იონანიძეა. ამ შემტევმა გუშინწინაც გააკეთა თავისი საქმე — თასის მეოთხედფინალის პირველ შეხვედრაში „ზესტაფონმა“ შინ სწორედ იონანიძის კინკილა გოლით მოუგო „დინამოს“...

— კარგი თამაში იყო, მაგარი ბრძოლა გაჩაღდა. თავიდან „დინამომ“ შემოგვიტია და პირველ ტაიმში ერთი კარგი მომენტიც ჰქონდა, მაგრამ, ვფიქრობ, მთლიანობაში მატჩი „ზესტაფონის“ უპირატესობით წარიმართა.

**— „დინამოსთან“ ყველა გუნდი განსაკუთრებული მონდომებით თამაშობს და ალბათ პირადად შენთვისაც განსაკუთრებულია „დინამოსთან“ თამაში...**

— თუ პროფესიონალი ხარ, ყველა გუნდთან ერთნაირი მონდომებით უნდა ითამაშო. ყოველ შემთხვევაში, მე „დინამოსთან“ გაორმაგებული და გაათმაგებული მონდომებით ნამდვილად არ ვთამაშობ.

**— „დინამოსთვის“ და „დინამოსთან“ შედარებით სუსტი გუნდისთვის გატანილი გოლიც ერთიდაიგივეა შენთვის?**

— რა თქმა უნდა, არა, მაგრამ ისიცაა, რომ ნებისმიერი მეტოქის კარში გატანილი გოლი ძალიან მახარებს.

**— „დინამოს“ კარში გატანილი გოლები არ დაგითვლია?**

— არა, მაგრამ „დინამოსთვის“ გოლი არაერთხელ გამიტანია. ჯერ კიდევ მაშინ, სანამ რუსეთში და უკრაინაში წავიდოდი სათამაშოდ.

**— ბოლო წლებზე ვთქვათ, როცა „დინამოს“ ივო შუშაკი, გია გეგუჩაძე და კახა ცხადაძე წვრთნიდნენ, ახლა კი ანდრეი ჩერნიშოვი წვრთნის — რომლის „დინამოსთან“ უფრო გიჭირდა თამაში და გოლის გატანა?**

— ძნელი სათქმელია, რადგან პლუს-მინუსები ყველა ამ მწვრთნელის დროს ჰქონდა და აქვს „დინამოს“. ისე, არც „ზესტაფონია“ უნაკლო გუნდი, მაგრამ, რაც კი ამ მწვრთნელების დროს „დინამოსთან“ მითამაშია, დადებითი ბალანსი სულ ჩვენსკენ იყო — ადრე ქუთაისის „ტორპედოსკენ“ და ახლა კი „ზესტაფონისკენ“.

**— ბოლო დროს საწარმო „ფეროში“ ცვლილებები მოხდა და როგორ აისახა ეს „ზესტაფონზე“?**

— „ფეროში“ მიმდინარე ამბებს „ზესტაფონზე“ არანაირად არ უმოქმედია. იცით, რომ კლუბის პრეზიდენტი კვლავაც ილია კოკაიაა და სხვა ჩვენთან არც არავინ მოსულა. მოკლედ, „ზესტაფონში“ ყველაფერი რიგზეა და უკეთეს პირობებსაც გვპირდებიან.

**— თასი თუ ჩემპიონობა — რა არის „ზესტაფონისთვის“ პრიორიტეტი მიმდინარე სეზონში?**

— ორივე ფრონტზე ვიბრძოლებთ, მიზანი კი ერთია — უეფას თასზე გასვლა და ვფიქრობ, საამისო ძალა „ზესტაფონს“ ნამდვილად შესწევს. სასტუმრო, ხელოვნურსაფარიანი მოედანი და სხვა პირობები არ გვაკლია, თუმც საკუთარი ბაზა რომ გვქონდეს, სულ სხვა იქნებოდა.

**— 33 წლის ხარ და კიდევ რამდენ ხანს აპირებ თამაშს?**

— „ზესტაფონთან“ კონტრაქტი ზამთარში მიმთავრდება და მერე რა იქნება, ჯერ არ ვიცი. ვიცი მხოლოდ ის, რომ ამით ჩემი კარიერა არ დასრულდება, ძალა მერჩის და ფეხბურთს კიდევ ვითამაშებ.

**— „ზესტაფონში“ ახლა რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელმა მოიყარა თავი — მათგან ყველაზე უფრო რომელს გამოარჩევდი?**

— ამ სეზონის მეორე წრისთვის გიორგი ჭელიძე დაგვემატა, ის ძალიან კარგი ფეხბურთელია. აშკარაა გიორგი განუგრავას პროგრესიც — ამათ ბოლო მატჩებში კარგად წარმოაჩინეს თავი და დიდი იმედი მაქვს, რომ მართლაც კარგ ფეხბურთს ითამაშებენ.

**დავით თავართქილაძე**

# ტოპმიოლერმა საალბანეთო შემადგენლობა უკვე გამოგზავნა

## თავსმოხვეული სია სამამდე შეამცირა



ჰაინც ტოპმიოლერი, კლაუს ტოპმიოლერი და რალფ მინგე

## 19-წლამდელთა თავიც გერმანელი იქნება

საქართველოს ეროვნულ ნაკრებს მორიგი ამხანაგური მატჩი 22 მარტს აქვს სტუმრად ალბანეთთან და ჩვენს უპირველეს გუნდში გამოძახებულ ფეხბურთელთა სია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ჯერ არ გამოუცხადებია, თუმცა შევიტყვეთ, რომ საქართველოს ნაკრების მთავარსარდალმა კლაუს ტოპმიოლერმა უკვე გამოგზავნა ფედერაციაში საალბანეთო სია.

ამ სიის აქტუალურობას ბევრი რამ განაპირობებს, თუნდაც ის, თუ რამდენად შეცვლილი იქნება ის მალტური სიისგან. შეგახსენებთ, მალტის ტურნირისთვის ბევრი ისეთი ფეხბურთელიც იყო გამოძახებული, ტოპმიოლერს მათზე არანაირი ინფორმაცია რომ არ ჰქონდა და საქართველოს უმაღლესი ლიგის გუნდების ძირითად შემადგენლობაშიც კი იშვიათად რომ თამაშობენ.

არაოფიციალური წყაროებიდან გავიგეთ, რომ ტოპმიოლერმა ასეთები საალბანეთოდ აღარ გამოიძახა, ახალგაზრდა ფეხბურთელთაგან, რომელთა სანაკრებო კლასზე საქართველოში ბევრს ბჭობენ, მხოლოდ სამი ფეხბურთელია მიწვეული 22 მარტს ტირანაში გასამართი მატჩისთვის: მეკარე ნუკრი რევიშვილი „რუბინიდან“, მცველი მათე ღვინიანიძე მოსკოვის „ლოკომოტივიდან“ და ნახევარმცველი გიორგი განუგრავა „ზესტაფონიდან“.

ტოპმიოლერის შტაბს გასარკვევი ჰქონდა ერთი საკითხიც: ვინ უთავკაცებდა საქართველოს 21 და 19-წლამდელთა ნაკრებებს. ადრეც გაუწყეთ, რომ 21-წლამდელების ხელმძღვანელად რალფ მინგეს კანდიდატურა განიხილება. ახლა კი კიდევ ერთ არაოფიციალურ, მაგრამ სანდო ინფორმაციას გაწვდით: 19-წლამდელთა დამრიგებელიც გერმანელი იქნება — ან მინგე, ან ჰაინც ტოპმიოლერი, რომლებიც უკვე არიან კლაუს ტოპმიოლერის თანაშემწეები ეროვნულ ნაკრებში.

ერთი სიტყვით, ტოპმიოლერი ჩვენს ნაკრებებს უკვე ერთიან სისტემაში აქცევს და სამივე ასაკობრივი ნაკრების თავკაცებად თანამემამულეებს ნიშნავს — 17-წლამდელთა ნაკრებსაც ხომ გერმანელი ჰერბერტ ცანკერი ხელმძღვანელობს. ნაკრებებში ალბათ ქართველი მწვრთნელებიც იმუშავებენ, მაგრამ არა მთავარ მწვრთნელებად.

ერთიც: საალბანეთო სიაში ჯერჯერობით არ არის შეყვანილი გიორგი ქინქლაძე, ვინც მალტის ტურნირზე ვერ ჩავიდა.

**დავით თავართქილაძე**

## ვერმორიგება გარიგების წინ

კარგა ხანია, ზურაბ ხიზანიშვილი „ბლექბერნის“ სასტარტოში არ გამოჩენილა — ამის მიზეზი ჯერ ტრავმა იყო, შემდეგ კი ის, რომ „ბლექბერნს“ ხიზანიშვილი „რეინჯერსიდან“ უნდა გამოესყიდა და ჩვენებურთან კონტრაქტი გაეფორმებინა.

ხიზანიშვილს და „ბლექბერნს“ ამ კვირის დასაწყისში უნდა დაედოთ კონტრაქტი, მაგრამ გარიგება ვერა და ვერ შედგა — როგორც შევიტყვეთ, კონტრაქტის ყველა პუნქტზე მხარეები ჯერ არ შეთანხმებულან.

**ნიკა ჯორჯაძე**

## როსტოვი ხოჯავას არ უშვებს

გოჩა ხოჯავამ რუსულ გუნდებთან საერთო ენა ვერ გამონახა და საქართველოში დაბრუნდა. როგორც შევიტყვეთ, მან შეთანხმებას მიაღწია „ბორჯომთან“ და სეზონის ბოლომდე საქართველოს ჩემპიონატში ბურთაობას აპირებს.

ხოჯავას ბორჯომულ დებიუტს ბოლნისურ „სიონთან“ სათასო შეხვედრაში ველოდით, თუმცა მისი გვარი განაცხადში საერთოდ ვერ ამოვიკითხეთ. როგორც აღმოჩნდა, რუსული „როსტოვის“ ხელმძღვანელობა გათავისუფლების ფურცლის გამოგზავნას არც აპირებს — ფეხბურთელს ჩვენთან გარკვეული ვალდებულებები აქვსო. ამის გარეშე კი, ბუნებრივია, „ბორჯომის“ განაცხადში ფეხბურთელის შეყვანა ვერაფრით მოხერხდება.

**გიორგი ნოზაძე**

# შემეცნებითი კვირეული მალტაზე

## გიორგი ფოფხაძეს ოლიმპიაკოსის სკამი არ უნდა

**გიორგი ფოფხაძისთვის 2006 წელი საოცრად დაიწყო. 18 წლის მარცხენა მცველი ბერძნულ „ოლიმპიაკოსში“ გადავიდა და, მართალია, ჯერ თამაშის უფლება არა აქვს, მაგრამ გუნდის წევრად ითვლება. გარდა ამისა, ფოფხაძეს ეროვნულ ნაკრებში დებიუტი ჰქონდა — მან მხოლოდ ერთ, მალტასთან 2:0 მოგებულ მატჩში ითამაშა... ბერძნული ამბები, პირველად დანახული ნაკრები, კლაუს ტოპმიოლერი — ამ ყველაფერზე გიორგი ფოფხაძეს არა საბერძნეთში, არამედ თბილისში ველაპარაკეთ და აი, რატომ...**

— მალტიდან პირდაპირ საქართველოში ჩამოვედი. ვიზასთან დაკავშირებით პრობლემები შემექმნა და ზეგ მივდივარ საბერძნეთში. ცხადია, ყოველდღე ვვარჯიშობ, დროს უქმად არ ვკარგავ.

— „ოლიმპიაკოსში“ შენი ჩარიცხვა-არჩარიცხვის ამბავი ცოტა გაურკვეველი იყო. ლეგიონერთა ლიმიტის გამო თამაშის უფლება არ გქონდა და ახლა როგორ იქნება საქმე?

— საბერძნეთში ჩავალ და უფრო ზუსტად გავარკვევ. აქედან კი მაქვს კავშირი, მაგრამ ტელეფონით გაკეთებული საქმისა არ მწამს. ფაქტი ისაა, რომ „ოლიმპიაკოსის“ წევრი ვარ, მაგრამ თამაშის საშუალება არ მეძლევა. ასე გაგრძელება ხელს არ მაძლევს, ბოლოს და ბოლოს, კლაუს ტოპმიოლერმა მათამაშა ნაკრებში, მოთხოვნილება თავისთავად მომემატა და სათამაშო პრაქტიკის არქონა ჩემს ასაკში დამღუპველი იქნება.

— ადრე თქვი, შესაძლოა, „ოლიმპიაკოსმა“ სხვა ბერძნულ გუნდში გამანათხოვროსო...

— ამასაც საბერძნეთში ჩასვლისას გავიგებ, მაგრამ დარწმუნებით ვიცი, რომ „ოლიმპიაკოსს“ ჩემი დატოვება სურს. უბრალოდ, იმ სამი თვის გასვლას უცდიან, სანამ გუნდის რომელიმე არაევროკავშირელი საბერძნეთის მოქალაქეობას მიიღებს. მე კი ამდენ ხანს მოცდა არ გამომადგება.

— კი მაგრამ, თამაშის ნება რომც დაგრთონ, „ოლიმპიაკოსი“ ის გუნდი არაა, ძირითადში ადგილი გარანტირებული გქონდეს...

— ამ შემთხვევაში მეცოდინება მაინც, რომ ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული. ჩემს პოზიციაზე „ოლიმპიაკოსს“ თურქი ბულუტი ჰყავს, ის თითქმის უცვლელად თამაშობდა, თუმცა ბოლო დროს ვეტერანი გეორგატოსი ჩაჯდა ძირითადში. ჯერ არ ვიცი, გავარკვევ, თამაშის შანსს მომცემენ თუ არა.



— ახლახან მალტის ტურნირიდან დაბრუნდი, სადაც ეროვნულ ნაკრებში პირველად ითამაშე...

— ძალიან გახარებული ვარ, ეროვნული ნაკრები სხვა გრძნობაა. სამწუხაროდ, მალტაზე ვარჯიშისას ფეხი ვიტკინე, რის გამოც „ჰიბერნიანსთან“ და მოლდოვის ახალგაზრდულ ნაკრებთან ვერ ვითამაშე. მალტასთან კი 90 წუთი ვითამაშე და რა ვიცი, ჩემ თავზე ვერაფერს ვიტყვი, სხვებმა შემაფასონ...

— ახალგაზრდულ ნაკრებში სულ ორი მატჩი ჩაატარე და ეგრევე ეროვნულში მოხვდი...

— ეგ მომენტი ადვილად გადავლახე. გამოცდილი ფეხბურთელებიდან ზოგიერთს მანამდეც ვიცნობდი, ზოგიც მალტაზე გავიცანი და ყველანაირად მხარში დამიდგნენ. კარგი ატმოსფერო იყო გუნდში. მალტასთან კი თავი არ დამიზოგავს და ტოპმიოლერმა მადლობაც გადამიხადა.

— მოლდოვასთან წაგების მერე რა შეცვალა ტოპმიოლერმა, როგორ დაგარიგათ?

— თითოეულმა ფეხბურთელმა იცოდა, რა დროს რა გაეკეთებინა. ყველა დეტალი წინასწარ იყო გამიზნული: დაზღვევა, პასი, ჩაწოდება, მოკლედ, ყველაფერი. ამიტომაც ქაოსურად არ გვითამაშია, დალაგებული კომბინაციები გვქონდა.

— როგორც ვიცით, ტოპმიოლერი თითოეულ ფეხბურთელს ესაუბრა. შენ რა გითხრა?

— გამომკითხა, როგორ ვთამაშობდი „თბილისში“, როგორ მოვეწყე „ოლიმპიაკოსში“. ბოლოს წარმატებებიც მისურვა. ტოპმიოლერი მაღალი დონის მწვრთნელი ხომ არის და თან, ძალიან თბილი და უშუალო პიროვნებაა, ფეხბურთელებთან მკაცრიცაა და გახსნილიც. პირადად მე მალტაზე გატარებულმა ერთმა კვირამ ბევრი მასწავლა.

**ილია ნანობაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი ხედვა: ხედი ახლოდან



გიორგი ნოზაძის ფოტო

**მწვრთნელის წარმატება რომ მხოლოდ მის კვალიფიკაციაზე არ არის დამოკიდებული, ამის მაგალითები თანამედროვე ფეხბურთში უამრავია. გამარჯვება მსხვილმანის თუ წვრილმანის თანხვედრას მოაქვს და აქედან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ისაა, როგორ შეეწყობიან ერთმანეთს მწვრთნელი და მისი შეგირდები.**

**მალტის ტურნირზე კლაუს ტოპმიოლერისა და საქართველოს ნაკრების გაცნობა შედგა. თუ უფრო ზუსტნი ვიქნებით, ტოპმიოლერის და ქართული ფეხბურთის, რომლისგანაც თავად უნდა გამოქნას ნაკრები. ამადაც იყო ორმაგად საინტერესო არა მხოლოდ მალტაში გამართულ შეხვედრებზე, არამედ გუნდის რიგით ვარჯიშებზე თვალის მიდევნება. ექვსდღიანი ნაცნობობის შემდეგ კი უკვე შეიძლება პირველ შთაბეჭდილებებზე საუბარი...**



გიორგი ნოზაძის ფოტო

**ამ** რამდენიმე დღეში ტოპმიოლერმა მოასწრო და პირისპირ ესაუბრა თითოეულ ფეხბურთელს, რომელთა თქმით, გერმანელი მწვრთნელი უაღრესად ყურადღებიანი ადამიანია, ვისაც არამხოლოდ საინტერესოდ საუბარი, სხვისი მოსმენაც შეუძლია. ინტერესდება ნებისმიერი, ერთი შეხედვით უმნიშვნელო წვრილმანითაც და ცდილობს გაგრძნობინოს, რომ ეს საქმიანი პარტნიორების ურთიერთობაა და არა ქედმაღალი ბოსის საუბარი ქვეშევრდომთან. ამგვარი დამოკიდებულებით ტოპიმ პირველი ქულები უკვე ჩაიწერა ჩვენი ფეხბურთელების თვალში და პირველი შთაბეჭდილებაც ხომ დიდწილად განსაზღვრავს შემდგომ დამოკიდებულებას.

ყურადღებიანთან ერთად მომთხოვნიცაა და ეს მოლდოვის ნაკრებთან 1:5-ის შემდეგ გამოჩნდა: მისი ტონი ნამატჩევს გამართულ კრებაზე საკმაოდ მკაცრი და კატეგორიული იყო, თუმცა მაქსიმალურად საქმიანი და ნაკლებად ემოციური. ემოციებს რაც შეეხება, ყველაზე მეტად შეხვედრის მსვლელობისას გამოხატავს. თუ შეგირდებმა მისი დავალება ვერ ან არ შეასრულეს, ანაც მსაჯმა მისი აზრით არასწორი გადაწყვეტილება მიიღო, შეუძლია, ლუის ვან გაალივით ხელ-ფეხის მოშველიებითაც კი გამოხატოს უკმაყოფილება.

ცალკე თემაა ტოპმიოლერის ვარჯიში. ორჯერ თავად შევესწარი, დილის ვარჯიშის დასრულების შემდეგ თანაშემწეებთან ერთად ორი საათის განმავლობაში სასტუმროს ჰოლში რომ იჯდა მაგიდასთან და საღამოს ვარჯიშის დეტალურ გეგმას ადგენდა. საათნახევრიანი ვარჯიშის ორი საათის განმავლობაში დაგეგმვა ჩვენი ფეხბურთის და თუნდაც ნაკრებისთვის აშკარად უცხო ხილია. რალფ მინგეს ყველაფერი ქაღალდზე გადაჰქონდა — უშუალოდ ვარჯიშის მსვლელობისას ხომ მას ევალება „პირველის" გეგმის განხორციელება. ამან შესაძლოა, არასწორი შეხედულებაც შექმნას, რომ ვარჯიშზე ტოპი ზედმეტად პასიურია და ინიციატივას თანაშემწეს უთმობს.

მოთელვით დაწყებული და ორკარათი დასრულებული, ტოპმიოლერის ვარჯიში ჩვენთვის ყველაფერი ახალი და ორიგინალურია. უფრო სწორად, ნაცნობი ვარჯიშების გაცილებით მიზანმიმართული და ამავე დროს ხალისიანი ინტერპრეტაცია. ამის შედეგია, გუნდი ვარჯიშის დასრულების შემდეგ ნაკლებად რომ ფიქრობს დაღლაზე, არადა, ინტენსიობა საკმაოდ მაღალია.

სანამ მინგე მოთელვით არის დაკავებული, ტოპი უსიტყვოდ, გულხელდაკრეფილი მიდი-მოდის და, თუმცა ნაკლებად ერევა პროცესში, არაფერი რჩება შეუმჩნეველი. საკმარისი იყო, ერთ-ერთ ვარჯიშზე თითქმის ერთდროულად დაჭიმვოდათ კუნთი ფოფხაძესა და ჭელიძეს, მაშინვე მოედნის კიდესთან გაჩნდა, მდგომარეობა მოიკითხა, გასახდელში გაისტუმრა, ექიმებს დაელაპარაკა და მერელა მიუბრუნდა დანარჩენებს. ტოპი შედარებით აქტიურია ვარჯიშის „ბურთიან ფაზაში", თუმცა შენიშვნებს მაინც ნაკლებად და თანაც ისეთი გამომეტყველებით იძლევა, თითქოს, შენ ხომ ეს შეგიძლია და ამდენს რატომღა მალაპარაკებო, გეუბნება.

გოლი — ამას მხოლოდ თამაშის მსვლელობისას როდი ანიჭებს დიდ მნიშვნელობას. ვარჯიშზე გუნდი ორად გაყო და ათი ექვსის წინაამდეგ ათამაშა, ოღონდ ექვსკაციან გუნდს მეკარე ჰყავდა, ათკაციანის კარი კი ცარიელი იყო. ოცი წუთი უგოლოდ რომ მიილია, რიცხვმრავალ გუნდს უსაყვედურა, ოთხით მეტნი ხართ და გოლი როგორ ვერ გაგაქვთო. სწორედ ამ დროს შემოსულ სტადიონის თანამშრომელს კი, რომელმაც ანიშნა, თქვენი ვარჯიშის დრო ამოიწურაო, მოკლედ მოუჭრა: „ნოუ გოლ, ნოუ ენდ".

უყურადღებობას ჟურნალისტებთან ურთიერთობაშიც ვერ დავწამებთ. რამდენიც უნდა ეცადო, ათიდან შვიდ შემთხვევაში ღიმილიან სალამს აქეთ დაგასწრებს. ისე კი, კუნძულზე მყოფ ორ ქართველ ჟურნალისტს ვარჯიშზე გუნდის ავტობუსით მგზავრობის ნება არ დაგვრთო — ჯერ წესია საქმე და მერე საქმეა საქმე. ნავარჯიშევს კომენტარსაც არ დაგამადლის, მაგრამ რომ შეგვატყო, კომენტარის პრესკონფერენციად გადაქცევას შევეცადეთ, ღიმილითვე გვითხრა, წავიდეთ ახლა, თორემ ქარი ქრის და შეიძლება გაცივდეთო.

„მოლადავეაო", ფეხბურთელები ამბობენ, ოღონდ არც ამ შემთხვევაში ეშლება დრო, ადგილი თუ ზღვარი. ჩვენი მალტაზე ყოფნის დროს ავტობუსის მძღოლები გაიფიცნენ და საქართველოს ნაკრებზე მიმაგრებული ავტობუსის მძღოლს გაეხუმრა, არ გეშინია შტრეიკბრეხერობა რომ დაგაბრალონო? ეს მოლდოვასთან სამარცხვინო 1:5-ის მომდევნო დილის ვარჯიშზე გამგზავრებისას მოხდა. ზემოთ რომ ფეხბურთელებთან მკაცრი საუბარი ვახსენეთ, რამდენიმე წუთის დასრულებული იყო, მაგრამ ზოგი ჩვენებური მწვრთნელივით ყველასა და ყველაფერზე არ დაბოღმილა. იცის, რომ ხმამაღალ ტონს თავისი ადგილი და კონკრეტული ადრესატი ჰყავს, სხვას კი ეს არანაირად არ ეხება.

ორი სიტყვით მისი და ფეხბურთელების დამოკიდებულება ასეც შეიძლება გადმოიცეს: იმ მამას ჰგავს, შვილთან მეგობრული ურთიერთობა რომ სურს, მაგრამ გარკვეულ დისტანციას მაინც ტოვებს, რათა ამ სიახლოვემ საქმეს არ ავნოს. არც ჰოლანდიელი იოჰან ბოსკამპივით ხისტია და ვერც ალენ ჟირესივით ადვილად „გავაქართველებთ". მყვირალა ჰოლანდიელის, მუდამ მომღიმარი ფრანგის და დროებითი ივო შუშაკის მერე ტოპი საქართველოს ნაკრების რიგით მეოთხე უცხოელი მწვრთნელია...

მეოთხე და ყველაზე სახელიანი..

**გიორგი ნოზაძე**

# ტოპი გერმანელია, მაშასადამე, რა გააკეთა კლინსიმ?



**იტალიის** ნაკრებთან ამხანაგურ მატჩში 1:4 განადგურებამ გერმანიაში დიდი ხმაური გამოიწვია — დიდს თუ პატარას უკვე აღარ სჯერა ბუნდესნაკრების და კარსმომდგარ მსოფლიოს ჩემპიონატსაც მაინცდამაინც დიდი იმედით აღარ ელიან.

ცეცხლზე ნავთის დასხმასავით იყო იურგენ კლინსმანის მომდევნო ნაბიჯი — დიუსელდორფში გამართულ ფიფას უორკშოპს მუნდიალზე გასული ყველა ნაკრების მთავარი მწვრთნელი დაესწრო... კლინსმანის გარდა. ამან ლამის გააცოფა გერმანელთა ლეგენდა, ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ფრანც ბეკენბაუერი, რასაც გერმანულ მედიაში კლინსის კრიტიკის ნიაღვარი მოჰყვა.

ბეკენბაუერის, კარლ-ჰაინც რუმენიგეს, გიუნტერ ნეტცერისა და სხვა ცნობილ პირთა გარდა გერმანელმა ჟურნალისტებმა საქართველოს ნაკრების თავკაც კლაუს ტოპმიოლერსაც სთხოვეს კომენტარი და ის მიიღეს, რასაც ელოდნენ — მწვრთნელ-ვარსკვლავად მოხსენიებულმა ტოპიმ თანამემამულე კოლეგის საქციელს გამართლება ვერ მოუძებნა, თუმცა, ბუნებრივია, დიპლომატიაც გამოიჩინა: „იტალიასთან მატჩის მერე ჰამბურგში ძალიან კარგი თამაშიც იყო, ვფიქრობ, „ჰამბურგ" — „ბაიერნზე" უკეთეს სანახავს კაცი ვერ ინატრებდა. ახლა ძალიან დაძაბული გრაფიკა მაქვს, მაგრამ ოთხი-ხუთი დღით გერმანიაში ჩამოსვლა მაინც მოვახერხე და, აბა, მეტი რა გითხრათ".

მოკლედ, დღეს გერმანიაში ასეა: ყველანი იურგენ კლინსმანის წინაალმდეგ!

**ბაჩა შალამბერიძე**



## ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი



# ჩახლეჩილი ხმით საკითხავი წერილი

**ბარსელონა (ესპანეთი) 1:1 ჩელსი (ინგლისი) (2:1)**

1:0 რონალდინიო (78), 1:1 ლამპარდი (90პ)
ბარსელონა: ვ. ვალდესი, ოლეგერი, პუიოლი, მარკესი, ვან ბრონკჰორსტი, დეკო, ედმილსონი, მოტა, მესი (ლარსონი 25), რონალდინიო, ეტოო
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
ჩელსი: ჩეხი, პ. ფერეირა, რ. კარვალიუ, ტერი, გალასი, ჯ. კოული (ჰუთი 83), მაკელელე, ლამპარდი, დაფი (გუდიონსენი 58), რობენი, დროგბა (კრესპო 58)
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
გაფრთხილება: კოული, მოტა, პუიოლი
მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)
98 260 მაყურებელი



ლიონელ მესის ტრავმის გამო დაახლოებით ერთი თვე გაუცდება ანუ ორივე მეოთხედფინალურ მატჩს გამოტოვებს

**ცამდე** მართალი ბრძანდებოდა „ბარსელონას“ მწვრთნელი ფრანკ რაიკარდი, მატჩის შემდეგ რომ თქვა, დღევანდელი თამაში ტაქტიკური იყოო. დაძაბულობამ, „კამპ ნოუზე“ გამართულ შეხვედრას რომ უძღოდა, ალბათ, ბევრი შეაცდინა. მართლაც და, ვინ იცის, რამდენი ქომაგი მოემზადა ვნებათაღელვის სანახავად, მაგრამ, ვაგლახ, სიგიჟეს მიმსგავსებული არაფერი ყოფილა და არავინ არვის შესწყვეტია, გუნდებმა გააზრებული თანამედროვე ფეხბურთი ითამაშეს და ეს ძალიან ლოგიკური გახლდათ. დავაზუსტოთ: „ჩელსი“ ისედაც ტაქტიკური გუნდია, მისი მთავარი ძალა მწვრთნელის ინტელექტი გახლავთ, „ბარსა“ კი, ტაქტიკის აუცილებელ დოზასთან ერთად, დიდწილად ტექნიკურ-ემოციურ მხარეს აქცევს ყურადღებას. ჰოდა, სეირის მოყვარულთათვის შეიძლება სწორედ აქ ყოფილიყო მზაკვრული კვანტი დადებული, მით უფრო იმ შფოთიანი დახვედრის შემდეგ, კატალონიელმა ფანებმა აეროპორტში ლონდონელებს რომ მოუწყვეს.

თუმცა, ერთი წუთით თავი „ბარსას“ მწვრთნელის ადგილას წარმოვიდგინოთ და ლოგიკას მივყვეთ: პირველი თამაში მოგებულია, ორი გოლის გატანა და, შესაბამისად, ზურგის მოშიშვლება მეტოქეს სჭირდება, მაშ, რატომ უნდა მივაწყდე მის კარს დუჟმორეული, მხოლოდ იმიტომ, რომ „ჩელსის“ მწვრთნელმა ჟოზე მაურინიუმ ინტერვიუებში ჩემი გასაბრაზებელი სიტყვები თქვა და წყობიდან გამომიყვანა?

რაიკარდი მატჩის შემდეგ: „შარშან „ჩელსიმ“ გამოგვთიშა შეჯიბრებიდან, წლეულს კი საქმე აშკარად უკეთ წავიდა. დიახ, ეს ძნელი იყო, მაგრამ ჩვენი სამუშაო კარგად შევასრულეთ. ის კაცი არ ვარ, შურისძიებისა რომ მწამდეს. წარსული არ მამძიმებს. მეოთხედფინალში გავედით და მიხარია, „ჩელსისა“ და მისი მწვრთნელის საწინააღმდეგო კი არაფერი მაქვს. პირიქით, ის დიდ საქმეს აკეთებს და მე ამას პატივს ვცემ. მეტოქის თამაშს კი არ გავუკვირვებივარ, ლონდონელები მათთვის ჩვეულ ფეხბურთს თამაშობდნენ და კარგადაც. იყო პერიოდები, როდესაც გვაჯობეს. ეს ტაქტიკური თამაში იყო და თუკი რაიმე თვისება ძლიერი გაქვს, ეს მნიშვნელოვან შეხვედრებში უნდა გამოავლინო.“

თუმცა, ბოლო ორ წელიწადში „ბარსელონა“ და „ჩელსი“ ისეთ წყვილად ჩამოყალიბდნენ, მათი დაპირისპირება მთლად უემოციოდ, აბა, როგორ ჩაივლიდა. თან, როგორც კი მოედანზე „ბარსელონასა“ და „ჩელსის“ დაინახავენ, მსაჯებიც შეთქმულებივით რაღაც განსაკუთრებულებს რომ აკეთებენ?! ასე იყო ამჯერადაც, გერმანელმა არბიტრმა მარკუს მერკმა მასპინძლების კარში, მსუბუქად რომ ვთქვათ, მეტად საეჭვო პენალტი დანიშნა და შეიძლება ითქვას, კატალონიელების მოგებული თამაში ფრედ დაამთავრა.

ისე, რა საინტერესოა: ამ გუნდების ახლანდელი ორთამაშიანი დაპირისპირების ორმა მსაჯმა „ბარსელონა“ სამი პენალტით დასაჯა — ორი პირველ შეხვედრაში არ დაარტყმევინა და ერთიც, როგორც მოგახსენეთ, მეტოქეს უძღვნა. მეორე მხრივ, პირველ შეხვედრაში ლონდონელი ასიერ დელ ორნოს გაძევება და მასპინძლების ამხელა „ბარსას“ წინაშე ათი კაცით დატოვებაც არ იყო აუცილებელი. და, ბარემ, აქვე გავიხსენოთ შარშანდელი ამბები, „კამპ ნოუზე“ დიდიე დროგბას გაძევება, ხოლო „სტემფორდ ბრიჯზე“ ჯონ ტერის გადამწყვეტი გოლის დროს რიკარდო კარვალიუს მიერ ბარსელონელი მეკარის საეჭვო დაბლოკვა და ერთხელაც შევთანხმდებით, რომ სადაც „ბარსა“ — „ჩელსია“, ხმის ჩახლეჩამდე სადავო სიტუაციაც იქაა.

აი, მაგალითად, რა თქვა ჟოზე მაურინიუმ „კამპ ნოუზე“ თამაშის დამთავრების შემდეგ:

„ჩვენ და „ბარსელონამ“ ორ წელიწადში ოთხჯერ ვითამაშეთ და ამ ოთხი შემთხვევიდან, როდესაც მსაჯი თერთმეტს თერთმეტზე გვტოვებდა, „ბარსელონა“ ვერ გვიგებდა“.

მოდი და, მოედავე, სტატისტიკა ჯიუტია.

და, აბა, მაურინიუ რის მაურინიუ იქნებოდა, ახალი მწარე-მწარეები რომ არ ეთქვა:

„უკეთესმა გუნდმა ვერ გაიმარჯვა. პირველ შეხვედრაში ფეხბურთელი გაგვიგდეს და 1:2 წავაგეთ, ხოლო მეორეში ოდნავ იღბალი რომ გვქონოდა და ჩვენი გოლი თამაშის სულ ბოლოს კი არა, ცოტა ადრე გასულიყო, ჩემი ფეხბურთელები მენტალურად შეიცვლებოდნენ. პენალტის შემდეგ მსაჯმა ერთი წამიც აღარ გვათამაშა“.

დავძინოთ, რომ მაურინიუმ პრესკონფერენციაზე ამ სიტყვების გარდა სხვაც თქვა და მეტოქე თავისებურად შეაქო კიდეც, მაგრამ მისი ეს დიპლომატია მთავარი არ იყო. სხვათა შორის, კითხვაზე, თქვენი გავარდნის შემდეგ უსურვებთ თუ არა „ბარსელონას“ ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებასო, მაურინიუმ ლამაზად უპასუხა, პორტუგალიელი კაცი ვარ და „ბენფიკას“ ვქომაგობო. შეგახსენებთ, ის ამ სიტყვებს რომ ამბობდა, სამშაბათი იყო და ოთხშაბათის თამაშების შედეგები ვერაფრით ეცოდინებოდა.

რონალდინიო კი მართლაც უდიდესი ფეხბურთელია. ტაქტიკურია თამაში, ტექნიკური, ემოციური თუ სხვა შინაარსის, ბრაზილიელი თამაშის ბედს წყვეტს. ასე იყო „ჩელსის“ წინააღმდეგაც, მსოფლიოსა და ევროპის საუკეთესო ფეხბურთელმა 78-ე წუთზე სტუმართა საჯარიმოს მისადგომებთან მიიღო ბურთი, ორ მეტოქეს არ დაანება პოზიცია გაიუმჯობესა და დაბალი დარტყმით გახსნა ანგარიში.

„ბედნიერი ვარ, ასეთი დიდი მწვრთნელის დიდი გუნდი რომ დავამარცხეთ“ — განაცხადა მატჩის შემდეგ მარად მომღიმარმა ვარსკვლავმა.

**პაპუნა ძიძიგური**









დასაწყისი წინა „სარბიელში“

# ბურთი ძმაა ჩემი

## ბრაზილიაში სჯერათ, რომ ღმერთი ბრაზილიელია და ქვეყანას რონალდინიო აჩუქა



### სწავლა არ მინდა...

რონალდინიო ბავშვობიდანვე თავისზე უფროსებთან თამაშობდა, 13 წლისა „გრემიოში“ 15 წლის ბიჭებს ეჯიბრებოდა. რონიმ გააკეთა ის, რაც თავის დროზე პელემ ვერ შეძლო — მომავალმა ვარსკვლავმა ბრაზილიის 15-წლამდელთა ნაკრების შემადგენლობაში შოტლანდიელ თანატოლებთან ამხანაგურ მატჩში ითამაშა, გოლიც შეაგდო და შინ კმაყოფილი დაბრუნდა. „მეჩვენებოდა, თითქოს მინდორზე კი არა, უზარმაზარ ბილიარდის მაგიდაზე ვთამაშობდით“ — უთქვამს შინ მისულ პატარა „ბრაზილეიროს“.

18 წლამდე რონიმ უკვე ოთხ კონტინენტზე მოასწრო საფეხბურთო მოგზაურობა. სხვადასხვა ქვეყნებში „გასტროლები“ კიჭასთვის საუკეთესო გამოსავალი იყო აუტანელი სკოლისგან თავის დასაღწევად — რონალდინიოს ხომ ცხოვრებაში ყველაზე მეტად გაკვეთილების ზუთხვა ეზარებოდა... ეს კი სენიორა მიგელინას შლიდა ჭკუიდან. საბრალო დედა ხედავდა, რომ მისი შვილი ისეთივე წარმატებით გაურბოდა სწავლას, როგორც მოედანზე მეტოქის მცველებს... „თუ არ ისწავლი, „გრემიოს“ სკოლიდან გამოგიყვან და ფეხბურთს ვერ ეღირსები!“ — სასოწარკვეთით უყვირა ერთხელ დედამ რონალდინიოს. „რაც გინდა, ის გააკეთე, არ გამომდის ეს სწავლა, წიგნს რომ შევხედავ, მაშინვე მეძინება“ — მიუგო კიჭამ. რონის სწავლა და წიგნები რაც იყო, ყველამ იცოდა — სკოლის გვერდზე პატარა საფეხბურთო მოედანი...

ამასობაში ძმა რობერტო უკვე შვეიცარიულ „სიონში“ გადავიდა. „გრემიოს“ შეფებმა უფროსი და ასისი 600 ათას დოლარად გაყიდეს.

### სამბა და ლაზარონი

მას შემდეგ, რაც „წყეული სკოლა“ დაამთავრა, რონალდინიომ მთლიანად ფეხბურთს მიუძღვნა თავი. შედეგებმაც არ დააყოვნა — 1997 წელს ეგვიპტეში ჩატარებულ ახალგაზრდულ მუნდიალზე ბრაზილიის 17-წლამდელთა ნაკრებმა სწორედ მისი ჯადოქრობით გაიმარჯვა. საფეხბურთო მინდვრებზე ხანგრძლივი ფიესტების მიუხედავად, კიჭა ისევ პატარა ბიჭის ცხოვრებით ცხოვრობდა — „ბარსას“ მომავალი ვარსკვლავი ვიდეოთამაშებზე და, რაღა თქმა უნდა, სამბაზე იყო გადარეული... პორტუ-ალეგრეს სამბის ფესტივალზეც მიიღო მონაწილეობა და საერთოდ, მუსიკა, ფეხბურთივით, რონის სულთან ახლავს.

1998-ში რონალდინიო ერთ-ერთი მატჩისას შემთხვევით 1990 წლის ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელის, სებასტიანო ლაზარონის შეხვდა. „მაშ, შენ ხარ ის რონალდინიო, „ყველას რომ აგიჟებს? ეს შენი უკანასკნელი მატჩია ახალგაზრდულ მატჩში, მე ვიზრუნებ, რომ ძირითად ნაკრებში მოხვდე“ — უთხრა კიჭას ლაზარონიმ. მორცხვმა ბიჭუნამ კი მადლობის თქმაც ძლივს შეძლო...

იმ პერიოდში რონალდინიო მომავალზე ნაკლებად, ან საერთოდ არ ფიქრობდა. დადიოდა „შალე ბარის“ დისკოთეკებზე, ჯგუფ „სე ატივას“ მუსიკას უსმენდა და, როგორც ყველა მისი თანატოლი „ბრაზილეირო“, გოგოებთან მოუხეშავი ფლირტით იყო დაკავებული. ჰო, ბუტერბროდის ამბავიც უნდა ვთქვათ — რონი „გრემიოდან“ თავისუფალ დროს წამსვე მახლობელ სუპერმარკეტში გარბოდა და საყვარელ ბიგ-მაკს ყიდულობდა. ჟურნალისტებიც ფეხდაფეხ აედევნებოდნენ ხოლმე და იყო საინტერვიუო საუბრები ბიგ-მაკის ღეჭვის თანხლებით.

კიჭას პირველი სიყვარული ალინაა, დისკოთეკაზე გაცნობილი ეშხიანი გოგონა. ალინამ მორიდებული ბიჭის სიმპათიებზე რონალდინიოს მეგობრებისგან შეიტყო და სასიამოვნოდ გაოცდა — რონალდო და ასის მორეირა ხომ უკვე „გრემიოს“ ვარსკვლავი გახლდათ.

მექსიკაში, ლიბერტადორესის თასზე კი რონალდინიომ მარცხი განიცადა. „თქვენ ნახავთ, მექსიკის მოედნებს რანაირი ვარსკვლავიც გაანათებს“ — იქადნებოდა სებასტიანო ლაზარონი, თუმცა ბიჭუნამ ორი თამაში ჩააგდო და ისიც ფრიად ულიმღამო. ასაკი თავისას აკეთებს, თუგინდ გენიოსი იყავი, „დიდ ბიძიებთან“ ჭიდილი მაინც ძნელია...

### ახალგაზრდული ნაკრები და დერბი

მომდევნო წელს რონალდინიომ ახალგაზრდული ნაკრები სამხრეთ ამერიკის თასზე და მალაიზიაში გამართულ მუნდიალამდე მიიყვანა. სწორედ სამხრეთ ამერიკის თასზე გაიტანა კიჭამ ის ბრწყინვალე გოლი, რომელსაც მთელი ბრაზილია დღესაც კი იხსენებს. „რონალდინიო წინ მიიწევს, მოატყუა ერთი, მეორე, მერე მესამე, მეოთხე... მოედანზე სასწაული ხდება... წინ რონი... გოოოლ. რონალდინიოოოოოო!!!“ — მთელი ხმით ბღაოდა ბრაზილიელი კომენტატორი... რონიმ ხუთი ურუგვაელი მცველი მოატყუა, მეკარეც ზედ მიაყოლა და... თავადაც ხვდებით, კომენტატორს ღრიალში მთელი ბრაზილია რომ აჰყვებოდა.

სამშობლოში კი „გრემიო“ გახდა შტატის ჩემპიონი. ფინალური მატჩების სერია რონალდინიოს და მის მეგობრებს „ინტერნაციონალესთან“ ჰქონდათ. „გრემიო“ — „ინტერი“ ბრაზილიაში იგივეა, რაც ესპანეთში „რეალი“ — „ბარსა“, ან კიდევ ინგლისში „მანჩესტერი“ — „ლივერპული“. მოკლედ, ფინალია და პირველი მატჩის წინ „ინტერის“ ვარსკვლავი, მსოფლიოს ჩემპიონი დუნგა ამბობს, თუ რონის ჩემპიონობა უნდა, ჯერ ჩემი და საერთოდ „ინტერნაციონალეს“ მცველების გვამებზე გადავლა მოუწევსო. „დუნგა ჩემი საფეხბურთო იდეალია. არა მგონია, ფინალის მოსაგებად თავის ასე გაწირვა ღირდეს“ — აღნიშნა კიჭამ. დამატებითი და გადამწყვეტი მატჩი „გრემიომ“ მოიგო და ჩემპიონი გახდა, ხოლო გამარჯვების გოლი დუნგას და რამდენიმე მცველის „გვამებზე გადავლით“ (ჯვარი სწერიათ) ვინ შეაგდო, თავად გამოიცანით...

### გაუჩო

„გაუჩოს“ ბრაზილიაში არგენტინის მეზობელი შტატის, რიუ გრანდე დუ სურის მცხოვრებლებს ეძახიან. რონიც ასე მონათლეს — კიჭამ რომ ვენესუელას გოლი გაუტანა, „გლობოს“ საფეხბურთო მიმომხილველმა წამსვე „რონალდინიო გაუჩო“ შეარქვა, ემანდ, რონალდოში, განთქმულ ნასარიო და ლიმაში არ აგვერიოსო. ის მატჩი 5:0 დასრულდა ბრაზილიის გამარჯვებით, გაუჩო კი ბიჭუნას სამუდამო მეტსახელად შერჩა.

შვილის უზარმაზარმა პოპულარობამ ფრიად შეაშფოთა დონია მიგელიანა. ვარსკვლავის დედა „გრემიოს“ პრეზიდენტს შეხვდა და ორი პირობა წაუყენა. პირველი — რონალდინიო უცხოური კლუბისთვის არ უნდა მიეყიდათ და მეორე — კლუბს თვალი ედევნებინა, რომ რომელიმე სახელის და ფულის წყურვილით აფთრადქცეულ ქერა ლამაზმანს მიამიტი ბიჭისთვის ცხოვრება არ დაენგრია. სეუ გერეირამ, „გრემიოს“ თავკაცმა, პირველ პირობაზე იზრუნა — გაუჩოზე მეოცნებე მადრიდის „რეალს“ 28 მილიონიან ტრანსფერზე უთხრეს უარი. მეორე [illegible] კი დიდი დავიდარაბა არ სჭირდებოდა — რონალდინიო, მიუხედავად გარეგნული გულუბრყვილობისა, საკმაოდ ფრთხილი ადამიანი გამოდგა და ქერა ძუ აფთრებიც პირში ჩალაგამოვლებულნი დარჩნენ.

2000 წელი რონალდინიოსთვის შესანიშნავად დამთავრდა — გაუჩომ სიდნეის ოლიმპიადაზე ითამაშა და „გრემიოსაც“ ბრაზილიაში მესამე ადგილი მოუტანა. ზუსტად აქედან იწყება პსჟ-სთან დაკავშირებული ისტორიები, „გრემიოსთან“ სასამართლო პროცესი, პარიზში გადასვლა და ასე შემდეგ, რაც უკვე მოგითხრეთ...

### ბარსელონური სამოთხე

2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე 22 წლის რონალდინიოს ბრწყინვალე თამაშმა და ბრაზილიის ოქროს მედლებმა „გრემიოს“ გულშემატკივრებს ადრე კლუბისადმი ღალატში დადანაშაულებულ გაუჩოზე გული მოუბრუნა. იაპონია-კორეის მუნდიალის მერე რონალდინიო მშობლიურ პორტუ-ალეგრეში გაალმერთეს. მსოფლიოს ჩემპიონატის შემდგომი პერიოდიც სახლში გაატარა, მეგობრების მხიარული კომპანიისა და, რასაკვირველია, ბრაზილიური მუსიკის თანხლებით.

„ბარსაში“ რონი 2003 წლის ზაფხულში გადავიდა. მისი მისვლის შემდეგ კატალონიელებმა კრიზისი დაძლიეს და პრიმერაში თუ ჩემპიონთა ლიგაზე მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. „ძალიან მომწონს ბარსელონაში ცხოვრება. კატალონია ბრაზილიას წააგავს და ხალხისგანაც აქ სულ სხვანაირ სითბოს ვგრძნობ, რასაც საფრანგეთში მოკლებული ვიყავი“ — განაცხადა რონალდინიომ, როდესაც ბრაზილიის ნაკრებისა და „ბარსელონას“ ლიდერს „ოქროს ბურთი“ გადასცეს. დარბაზში ცერემონიალს აღტაცებულ ხალხთან ერთად ერთი პატარა, მაგრამ რონისთვის უძვირფასესი მაყურებელიც ესწრებოდა. ეს პაწაწინა ჟოაო გახლდათ, რონალდო და ასის მორეირას ვაჟიშვილი. თავის დროზე რონალდინიოს მამამ 6 წლის გაუჩოზე ასე თქვა — „კი, რობერტო, ჩემი უფროსი ბიჭი, მაგარია, ოღონდ ნამდვილი საოცრება, უმცროსი შვილი, სახლში მყავს“. იქნებ წლები რომ გავა, კიჭამაც თქვას — საოცრება მე არ ვარ, ნამდვილი სასწაული სახლში მყავს და ეს ჩემი ჟოაო გახლავთ...?“



# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები



## პუმა, პუმა! კანავარომ საცოდავი ბიჭი ემერსონს დააგლეჯინა

***იუვენტუსი** (იტალია)* **2:1 ვერდერი (გერმანია) (2:3)**
0:1 მიკუ (13), 1:1 ტრეზეგე (65), 2:1 ემერსონი (87)
**იუვენტუსი:** ბუფონი, ძებინა, ტურამი, კანავარო, ძამბროტა (ბალძარეტი 70), კამორანეზი (მუტუ 57), ემერსონი, ვიეირა, ნედვედი, ტრეზეგე, იბრაჰიმოვიჩი (დელ პიერო 57)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
**ვერდერი:** ვიზე, ოვომოიელა, ფარენჰორსტი, ნალდო, შულცი, ფრინგსი, ბაუმანი (ჰასანენი 73), ბოროვსკი, მიკუ, კლოზე, კლასნიჩი (ნ. ვალდესი 81)
მწვრთნელი: თომას შაფი
გაფრთხილება: მიკუ, ნედვედი, ბაუმანი, დელ პიერო
მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)
40 226 მაყურებელი

**ტურინის** „იუვენტუსს“ ბრემენულ მატჩში მოდუნება და მეტოქის შეუფასებლობა ძვირად დაუჯდა. მაშინ ბოლო 3 წუთში ორი გოლი გაუშვეს. ამიტომ „ბებერი ქალბატონი“ ტურინში საწყისი წუთებიდანვე სერიოზულად მოეკიდა საქმეს. შეტევაში ტრეზეგე-იბრაჰიმოვიჩის წყვილი იყო. ორივე მათგანს მცირე ტრავმა აწუხებდა, მაგრამ კაპელო მაინც ენდო და ალესანდრო დელ პიერო, რომელსაც ძირითად შემადგენლობაში ელოდნენ სკამზე დატოვა.

უკვე მე-3 წუთზე გოლის გატანა პაველ ნედვედს შეეძლო, მაგრამ მას წამით დაასწრო პატრიკ ოვომოიელამ და ბურთი ფეხიდან ააცალა. „იუვე“ შეტევებს აგრძელებდა, თუმცა მე-13 წუთზე ბრჭყალები „ვერდერმაც“ გამოაჩინა და ფაქტობრივად ბრემენელთა პირველივე გააზრებული კომბინაცია გოლით დასრულდა. გოლი კი ლამაზი გამოვიდა — ტიმ ბოროვსკიმ ერთი შეხებით მიაწოდა კრისტიან შულცს, რომელმაც ასევე არ დაახანა და ბურთი იოან მიკუს გაუჭრა, ტურინელთა მთელი დაცვა პირღია დარჩა, ხოლო მიკუმ ეფექტურად გადაატარა ბურთი თავზე ბუფონს — 0:1.

მასპინძლები არ დაბნეულან და მათი შეტევები უფრო აგრესიული გახდა, მაგრამ სახიფათო ეპიზოდებს „ვერდერიც“ ქმნიდა. ორჯერ კარგი შანსი ივან კლასნიჩს ჰქონდა, „იუვენტუსის“ მომენტები გაცილებით ბევრი და მწვავე იყო, თუმცა სტუმართა მეკარე ტიმ ვიზე ბრწყინვალედ თამაშობდა. პირველი ტაიმის მიწურულს ტურინელებმა მეტოქე საკუთარ საჯარიმოს მიაჯაჭვეს და ერთხელ უნდა გაეტანათ კიდეც, მაგრამ ვიზემ ჯერ ნედვედის დარტყმა მოიგერია, დამატებაზე კი იქვე მყოფ ემერსონს აუღო. ბრაზილიელი ნახევარმცველი ვერ მიხვდა, როგორ არ აღმოჩნდა ბურთი კარში.

მეორე ნახევარი ტურინელებმა მძლავრად დაიწყეს და საწყის წუთებში ოთხი მომენტი შექმნეს, რომლებშიც პაველ ნედვედი გამოირჩეოდა, მაგრამ მან ვიზეს ვერაფერი მოუხერხა. სხვათა შორის, ჩეხმა ყვითელი ბარათი მიიღო და პირველ მეოთხედფინალურ მატჩს გამოტოვებს.

„ვერდერს“ ჰქონდა ორი მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტი, რითაც ფაქტობრივად მატჩის ბედის გადაწყვეტა შეეძლო, მაგრამ ბოროვსკიმ და კლასნიჩმა ვერ ივარგეს. 57-ე წუთზე კი ფაბიო კაპელომ ტურინელთა შეტევა გააძლიერა — უნიათოდ მოთამაშე იბრაჰიმოვიჩი დელ პიეროთი შეცვალა, ხოლო კამორანეზის ნაცვლად მინდორზე ადრიან მუტუ შეუშვა. ცვლილებები დროული იყო და ამან გაამართლა კიდეც.

65-ე წუთზე ტრეზეგემ „იუვეს“ იერიში წამოიწყო, ბურთი ნედვედს მიუვიდა, რომელიც „ვერდერის“ საჯარიმოში თავისუფლად შეიჭრა და ის იყო, უნდა დაერტყა, რომ ტრეზეგემ დაასწრო — 1:1. ტურინელებს ეს გოლი ისე გაუხარდათ, თითქოს ჩემპიონთა ლიგის ფინალში გაეტანათ გამარჯვებისა.

ამის მერე ტიმ ვიზემ მისი კარისკენ წასული ყველა ბურთი მოიგერია და უდავოდ მატჩის საუკეთესო ფეხბურთელიც გახდებოდა, 87-ე წუთზე რომ არ შემცდარიყო. „მუსიკოსების“ გოლკიპერმა „იუვენტუსის“ მორიგი შეტევისას ისევ დამაჯერებლად ითამაშა, მაგრამ მინდორზე გადაკოტრიალება არ გამოუვიდა, ბურთი გაუსხლტა, რითაც „პუმამ“ (ემერსონის მეტსახელია) მშვენივრად ისარგებლა და „ბებერი ქალბატონი“ მეოთხედფინალში გაიყვანა.

ემერსონი: „ცხადია, ვერ წარმოვიდგენდი, თუ ვიზეს ბურთი გაუვარდებოდა და უკან ვბრუნდებოდი, ვერც დავინახე, რა მოხდა. ამ დროს ფაბიო კანავარომ დამიძახა — პუმა! პუმა! საბედნიეროდ, რეაგირება მოვასწარი. მართალია, იღბალი დაგვეხმარა, მაგრამ ჩვენი გამარჯვების მასზე მიწერა არასწორია, რადგანაც „ვერდერს“ უფრო უმართლებდა. დაახლოებით 10 საგოლე მომენტი გვქონდა და ბრემენელთა მეკარე სასწაულებს ახდენდა, პირველ მატჩში კი ბოლო წუთებზე გავუშვით ორი გოლი. თუმცა არ გავტყდით და მოგება დავიმსახურეთ“.

„არ ვიცი, რა მოხდა, ეს დაუჯერებელია, ძალიან დასანანია, როდესაც ბავშვურ შეცდომას დაუშვებ. ასეთი რამ მეკარის კარიერაში ერთხელ თუ ხდება“ — დაიჩივლა 24 წლის ვიზემ.

„ვერდერმა“ კიდევ დაამტკიცა, რომ ძალიან ძლიერი გუნდია. თუმცა ჩვენ უამრავი მომენტი შევქმენით და რომ არა ბრემენელთა საოცარი მეკარე, მეტიც უნდა გაგვეტანა. მართალია, ბოლოს მან დასანანი შეცდომა დაუშვა, მაგრამ იქამდე ბრწყინვალედ ითამაშა და ოლივერ კანი გამახსენა. ჩემმა გუნდმა კი მებრძოლი სული გამოავლინა და ვფიქრობ, მეოთხედფინალში გასვლა დავიმსახურეთ“ — თქვა „იუვენტუსის“ თავკაცმა ფაბიო კაპელომ.

„ვერდერის მთავარი მწვრთნელი თომას შააფი: „ძალიან კარგად ვითამაშეთ, უფრო კარგადაც, ვიდრე პირველ შეხვედრაში და მეოთხედფინალში გასვლას ვიმსახურებდით. ასეც იქნებოდა, ვიზეს შეცდომა რომ არ დაეშვა. თუმცა მისი დადანაშაულება არ შეიძლება, რადგანაც მთლიანობაში ბრწყინვალედ ითამაშა“.

**გიორგი ძაძამიძე**



კანავარო, ვიეირა და ემერსონი: ეს რა, იყო?



საგოლე კომბინაცია რიკელმემ (მარჯვნივ) დაიწყო

## პატარებს გაუმარჯოს! ხოსიკო ცოტა ბოთეა, მაგრამ ძმაკაცები ჰყავს ჯიგარი

***ვილიარეალი** (ესპანეთი)* **1:1 რეინჯერსი (შოტლანდია) (2:2)**
0:1 ლოვენკრანდსი (12), 1:1 არუაბარენა (49)
**ვილიარეალი:** ვიერა, ხავი ვენტა (ჰექტორ ფონტი 46), გონსალო, პენია, არუაბარენა, სენა, ტაკინარდი, ხოსიკო, რიკელმე (კალეხა 86), ფორლანი, ხოსე მარი (გ. ფრანკო 46)
მწვრთნელი: მანუელ პელეგრინი
**რეინჯერსი:** ვატერეუსი, ჰატონი, კირიაკოსი, ჟ. როდრიგესი, მიურეი, ბარკი (ნოვო 87), ფერგიუსონი, ჰემდანი, ნამუში, ლოვენკრანდსი, ბუფელი (ბოიდი 64)
მწვრთნელი: ალექს მაკლიში
გაფრთხილება: მიურეი, არუაბარენა, ჰატონი, ხოსიკო, ბუფელი, ვიერა, ტაკინარდი, ფრანკო
მსაჯი: ალან ჰამერი (ლუქსემბურგი)
22 000 მაყურებელი

**„რეინჯერსმა“** არ წააგო, მაგრამ გავარდა, „ვილიარეალმა“ ვერ მოიგო და მეოთხედფინალში გავიდა. პატარა ესპანური ქალაქის გუნდისთვის ეს ისტორიული ამბავია — ჩემპიონთა ლიგაში პირველივე ცდაზე მეოთხედფინალს უწია.

სიხარულს კი წინ უძღოდა ლუდით გაჟღენთილი შოტლანდიელი ქომაგების ღრიანცელი: „რეინჯერსის“ გიჟმაჟი ფანები „ვილიარეალის“ ავტობუსს მისცვივდნენ, ბოთლები და ლუდის ქილები დაუშინეს, ეგებ თამაშამდე დავაშინოთო. ავტობუსს შუშაც ჩაუმტვრიეს, მასპინძელთა მწვრთნელმა მანუელ პელეგრინიმ კი თქვა: „სამარცხვინო ამბავია, მაგრამ ამით ჩემს ფეხბურთელებს ვერ შეაშინებ“.

ბოთლ-ქილებით ვერა, მაგრამ ლოვენკრანდსმა მე-12 წუთზე „ჩაფრები“ რომ დააწინაურა, აი, მაშინ კი ცოტა შეშინდნენ მასპინძლები, რადგან მეოთხედფინალი ხელიდან ეცლებოდათ.

„რეინჯერსი“ თავიდანვე მიაწვა მეტოქეს, რამაც დააბნია დამხვდურები. სტუმრებს მეექვსე წუთზევე შეეძლოთ გატანა, როცა ტომაშ ბუფელმა ლონივრად დაჰკრა ბურთს და სებასტიან ვიერამ კუთხურზე მოიგერია.

„რეინჯერსის“ მომდევნო იერიში მასპინძელმა ხოსიკომ დაიწყო და გოლით დასრულდა. სანამ ხოსიკო ფიქრობდა, ვისთვის მიეცა პასი, ბურთი მოჰპარეს, რომელიც ბუფელს მიუვიდა, მან კი პასი ფერგიუსონს გაუჭრა საჯარიმოსკენ. კარიდან გამოსულმა ვიერამ ფერგიუსონს დაასწრო და ბურთი მოიშორა, მაგრამ იქვე ლოვენკრანდსი გაჩნდა და ცარიელ კარში გატანა არ გასჭირვებია.

დაცვაში ყოჩაღად მოთამაშე „რეინჯერსის“ კართან „ვილიარეალმა“ 41-ე წუთამდე მომენტი ვერ შექმნა, მაგრამ როცა შექმნა, ვერ გამოიყენა. გონსალო როდრიგესმა ბუფელის პასი ჩაჭრა და მეორე შეხებით ბურთი დიეგო ფორლანს მიაწოდა, რომელიც ვატერეუსთან პირისპირ დარჩა, „ჩაფართა“ მეკარემ კი ბურთის ფეხით მოგერიება შეძლო.

შესვენების შემდეგ მანუელ პელეგრინიმ ორი ფეხბურთელი შეცვალა, გუნდი სამკაციან დაცვაზე გააწყო, შუახაზი გააძლიერა და გოლმაც არ დაახანა. დიეგო ფორლანმა რიკელმესგან მიიღო ბურთი, საჯარიმოში შეენთო და ურუგვაელის პასით არუაბარენამ ახლოდან გაიტანა.

დარჩენილ დროში „ჩაფრები“ ეცადნენ, მაგრამ ისე ველარ უტევდნენ, როგორც პირველ ტაიმში, რადგან „ვილიარეალმა“ თამაშიააწყო და მეტოქეს გასაქანი არ მისცა. მხოლოდ ერთხელ, კირიაკოსს შეეძლო გატანა, მაგრამ კარს ააცილა.

„ეს უდიდესი მიღწევაა, გუნდისთვისაც და ამ პატარა ქალაქისთვისაც. ჩვენ მეოთხედფინალით არ დავკმაყოფილდებით და წინსვლას ვაპირებთ“ — თქვა პელეგრინიმ, ხოლო ალექს მაკლიშმა განაცხადა: „ჩემს ფეხბურთელებზე აუგს ვერ ვიტყვი. ვამაყობ მათი კარგი თამაშით. ჩვენ ხომ პირველი შოტლანდიური კლუბი ვართ, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში გააღწია“.

**ვაჟა ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უეფას თასი 2005-06. 1/8 ფინალი. I მატჩები. დღეს

# სენისპირიდან ნევისპირამდე

## პარიზმა პეტერბურგს დასვენებული მარსელი დაახვედრა



გაისკა მენდიეტას „რომამ“ რომაული დერბი გაახსენა

| | |
|---|---|
| მიდლსბრო (ინგლისი) | — რომა (იტალია) |
| რაპიდი (რუმინეთი) | — ჰამბურგი (გერმანია) |
| ლილი (საფრანგეთი) | — სევილია (ესპანეთი) |
| ბაზელი (შვეიცარია) | — სტრასბური (საფრანგეთი) |
| სტიაუა (რუმინეთი) | — ბეტისი (ესპანეთი) |
| პალერმო (იტალია) | — შალკე (გერმანია) |
| უდინეზე (იტალია) | — ლევსკი (ბულგარეთი) |
| მარსელი (საფრანგეთი) | — ზენიტი (რუსეთი) |

**თავშივე** ვთქვათ, რომ „ლილი“, „სევილია“, „მიდლსბრო“ და „სტიაუა“ უეფას თასის მერვედფინალში შარშანაც იყვნენ. საინტერესო ისაა, რომ მათგან ერთმაც ვერ გააღწია მეოთხედფინალში და წლეულს ხელახლა ეცდებიან. ერთიც — „ლილი“ და „სევილია“ ამჯერად ერთმანეთს ხვდებიან და ერთ-ერთი კვლავაც მეოთხედფინალს მიღმა დარჩება. შარშან კი „ლილს“, „ოსერმა“ გადაუღობა გზა, ხოლო „სევილიას“ — „პარმამ“.

სევილიელებმა პრიმერადივიზიონის გასულ ტურში ბილბაოს „ატლეტიკს“ 2:1 მოუგეს. ამ სეზონში სავიოლათი და ფრედერიკ კანუტით გაძლიერებული გუნდი კარგად თამაშობს და ჩემპიონატში მეშვიდე ადგილზეა. ბილბაოელებთან მატჩში „სევილიას“ იტალიელი მცველი ენცო მარესკა დაუშავდა, რომელიც „ლილთან“ შეხვედრას გამოტოვებს. ხუანდე რამოსის გუნდს მარესკას გარდა დააკლდება ხოსე ლუის მარტი და მთავარმეკარე ანდრეს პალოპი.

რაც შეეხება „ლილს“, გახსოვთ ალბათ, უეფას თასზე ჩემპიონთა ლიგიდან გადმოინაცვლა, იქ კი თვით „მანჩესტერ იუნაიტედიც“ დაუმარცხებია. ამგვარად, შეიძლება ვთქვათ, რომ „სევილიას“ საკმაოდ ძლიერ მეტოქესთან სტუმრობა უწევს. თან „ლილმა“ ჩემპიონატში ძალიან მოუმატა და უკვე მესამე ადგილს უწია. ამ სეზონის 15 საშინაო მატჩში ოდენ 4 გოლი გაუშვა. გასულ უქმეებზე ლილელებმა „ლე მანი“ 4:0 გაანადგურეს და შინ აგერ, უკვე 2 ოქტომბრის შემდეგ არ დამარცხებულან. კლოდ პუელის გუნდს მხოლოდ მილენკო აჩიმოვიჩი დააკლდება, ძირითადი შემადგენლობის ყველა დანარჩენი ფეხბურთელი კი ჯანზეა.

ახლა „მიდლსბრო“ — „რომას“ მივადგეთ. „მიდლსბრო“ ის გუნდია, რომელსაც შეუძლია, შინ „ჩელსის“ 3:0 მოუგოს, „შტუტგარტთან“ კი 0:1 დამარცხდეს. სტივ მაკლარენის ფეხბურთელები არასტაბილურად თამაშობენ და ამიტომაც არიან პრემიერლიგაში მე-15 ადგილზე.

„მიდლსბროს“ ესპანელმა გაისკა მენდიეტამ თქვა: „რომა“ რომ კარგ ფორმაშია, ქვეყანამ იცის. ბოლო 12 მატჩიდან 11 მოიგეს და ფავორიტებადაც ისინი ითვლებიან, მაგრამ არავისი გვეშინია. ჩვენ გვყავს მარკ ვიდუკა, ჰასელბაინკი და იაკუბუ აიეგბენი, რომლებსაც ნებისმიერი მეტოქის გამწარება შეუძლიათ. რაკი საპასუხო მატჩს სტუმრად ვთამაშობთ, უნდა ვეცადოთ გოლი არ გავუშვათ და იქით გავუტანოთ ორი მაინც, რადგან რომში ძალიან გაგვიჭირდება“.

იტალიაში რომ გაუჭირდება, მენდიეტამ კარგად იცის, რადგან „ლაციოს“ მაისურით რომაულ დერბიში უთამაშია.

ლუჩანო სპალეტის „რომას“ მართლაც ბრწყინვალე სერია ჰქონდა — ზედიზედ 11 მატჩი მოიგო — მაგრამ წინა კვირას შინ „ინტერს“ დაუზავდა და „გლადიატორთა“ ძლევამოსილი სვლა შეწყდა. ასეა, ოდესღაც ყველაფერი მთავრდება. გუნდი ალმა მიდიოდა, ახლა კი გამორიცხული არაა, დაღმასვლა დაეწყოს. ფრანჩესკო ტოტი რომ ყავარჯნებით დადის, ეს უკვე ძველი ამბავია. სპალეტის ახლა ვინჩენცო მონტელა და მეკარე დონიც დაუშავდა, მაგრამ ტოტისა და მონტელას გარეშეც „რომას“ არა უშავს. დონის ადგილს კი ჯანლუკა კურჩი დაიკავებს.

„პალერმოს“, რომელიც სერია A-ს ბოლო ორ მატჩში ისე დამარცხდა, რომ გოლიც ვერ გაიტანა, მირკო სლომკას „დაქოქილი“ „შალკე“ ეწვევა. „შალკე“ წლეულს ნაღდად კარგ ფორმაშია. სლომკას ხელში გუნდს არ წაუგია და უეფას თასის მერვედფინალში „ესპანიოლსაც“ იოლად გაუსწორდა. შინ 2:1 მოუგო, სტუმრად კი — 3:0. ბუნდესლიგელებს კევინ კურანი ალბათ ვერ დაეხმარება, ხოლო „პალერმოს“ ორი ნახევარმცველი ჰყავს ტრავმირებული — მასიმო მუტარელი და ეუჯენიო კორინი. ორივეს თამაში დღეს საეჭვოა.

უეფას თასის შარშანწინდელი ფინალისტი „მარსელი“ სანკტ პეტერბურგის „ზენიტს“ ძირითადი შემადგენლობის დასვენებული ფეხბურთელებით დაუხვდება. გეტყვით იმასაც, თუ როდის მოასწრეს დასვენება. გასულ უქმეებზე „მარსელი“ პსჟ-ს პროტესტის ნიშნად სათადარიგო ფეხბურთელებიც ეწვია. პროტესტი კი აი, რამ გამოიწვია: ამ გუნდების ფანებს შორის მუდმივად ჩხუბი ხდება, რის გამოც პარიზელებმა მეტოქის ქომაგებს ძალიან ცოტა ბილეთი გაუგზავნეს. პასუხად „მარსელმა“ სათადარიგოები ჩაიყვანა დედაქალაქში და იქიდან ქულა მაინც წაიღო.

ნევისპირელებს მარსელში შესაძლოა მცველი პაველ მარეში და მეკარე კამილ ჩონტოფალსკი დააკლდნენ, რადგან ორივე ვარჯიშზე დაშავდა. ისიც ვთქვათ, რომ „ზენიტმა“ რუსეთის თასის მატჩში „ტერეკს“ 2:0 მოუგო მეგოლე ანდრეი არშავინის გარეშე, რომელიც მწვრთნელმა „მარსელისთვის“ დაასვენა.

**ვაჟა ხუციშვილი**



# ბელამი ქალის ამბავში გაიჭედა

**უელსის** ნაკრებისა და „ბლექბერნის“ თავდამსხმელი კრეიგ ბელამი კარდიფის პოლიციამ დააპატიმრა. მართალია, 26 წლის ფეხბურთელი უკვე თავდებით გაათავისუფლეს, მაგრამ გამოძიება გრძელდება და მას, სავარაუდოდ, არცთუ მსუბუქი სასჯელი ელის. საქმე ეხება რამდენიმე კვირის წინ ერთ-ერთ ღამის კლუბში მომხდარ ინციდენტს. ბელამის 19 წლის გოგონაზე ფიზიკურ ძალადობასა და შეურაცხყოფაში ედება ბრალი.

თებერვლის დამდეგს ბელამი მშობლიურ ქალაქში ოჯახის მოსანახულებლად ჩავიდა. ერთ-ერთ საღამოს მეგობართან ერთად ღამის კლუბშიც შეიარა, რის მერეც მავანი 19 წლის გოგონა კარდიფის პოლიციაში გამოცხადდა და ორივე მათგანს უჩივლა. ბელამი და მისი მეგობარი ადრეც დაკითხეს, მაგრამ ახლა უკვე ოფიციალურად წაუყენეს ბრალი. თუმცა აქცენტი უელსელ ფეხბურთელზე კეთდება, რადგან ძალადობით განსაკუთრებით მას „გამოუჩენია“ თავი.

„ჩვენ 19 წლის გოგონაზე ფიზიკური ძალადობის ფაქტს ვიძიებთ. ამ საქმესთან დაკავშირებით დაკავებულია 26 წლის მამაკაცი. დეტალებს გამოძიების დასრულების შემდეგ გაცნობებთ“ — თქვა კარდიფის პოლიციის წარმომადგენელმა.

ბელამის აგენტი სტივ ჰორნერი: „კრეიგი პოლიციამ დააკავა და ამჟამად გამოძიება მიმდინარეობს. დარწმუნებული ვარ, ყველაფერი კარგად დასრულდება. ისღა დაგვრჩენია, დაველოდოთ“.

„ბლექბერნის“ წარმომადგენლები ამ ფაქტზე კომენტარს არ აკეთებენ — ეს კლუბის საქმე არ არისო.

**ჭოჭი ჭანდელაძე**

# ბექემი სულელი არაა, არითმეტიკაში უჭირს...




**ახლახან** ინგლისის ნაკრების კაპიტანმა დევიდ ბექემმა საქვეყნოდ აღიარა, ჩემი 7 წლის ვაჟის, ბრუკლინის სასკოლო ამოცანა ვერ ამოვხსენი და დასახმარებლად მეუღლეს, ვიქტორიას დავუძახეო. ცხადია, ამ განცხადებამ ხალხი ბექემის გონებრივ შესაძლებლობებში დააეჭვა. დღეს კი მისი სრულფასოვნების დამცველად დოქტორი კეიტ კრეიგი გამოდის, ბელფასტის სამეფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი პროფესორი. თუ ამ ქალბატონის „გამოკვლევებს“ დავუჯერებთ, ინგლისის ეროვნული გუნდის და მადრიდის „რეალის“ ვარსკვლავი გენიოსი ნამდვილად არა არის, თუმც სხარტი გონების პატრონი კი გახლავთ. მისის კრეიგის დასკვნა ასეთია: 1. ფეხბურთში დევიდმა სახელი საჯარიმოების სწორუპოვარი შესრულებით დაიგდო, რასაც უტვინო კაცი ვერ მოახერხებს. 2. მას დარტყმის ძალისა და ბურთის ფრენის კუთხის არაჩვეულებრივად ზუსტად გამოთვლა შეუძლია, რის შედეგადაც ბურთი კედლად ჩამდგარ მეტოქეს გადააფრინდება და მეკარის გულის გასახეთქად ცხრიანში მიდის. 3. ბექემი დაულალავი წვრთნა-ვარჯიშის წყალობით დარტყმისას ბურთს თავისი ღერძის გარშემო წამში ათჯერ ატრიალებს და მისი ჯარიმის მოგერიებაც მეკარეებისთვის დიდ პრობლემად ქცეულა.

ერთი სიტყვით, დოქტორ კრეიგს უნდა გვითხრას, რომ 7 წლის ბრუკლინის დავალების ვერამომხსნელი ბექჰის ტვინი სრულფასოვნად ფუნქციონირებს, ყოველ შემთხვევაში, საფეხბურთო მოედანზე მაინც...

**ლადო ხომერიკი**

# ჯადო ქრის, ჯადო ქრის, ჯადო ქრის

## საჯარიმოში მარხია მელა, აუ, რა ბნელა



ღამით სასაფლაოზე რომ გახვიდე, ან ტომ სოიერი უნდა იყო, ანაც ომარი საბჭოთა დროის ერთი თბილისური სიმღერიდან — წამო, ძმაკაც, გავაგოროთ ყომარი, კუკიაზე სასაფლაო რომ არი. თუმცა, როგორც ირკვევა, არის მესამე ვარიანტიც, შეიძლება იყო აფრიკელი შამანი, რომელიც თავისი საყვარელი საფეხბურთო გუნდის გამარჯვებას ჩხიბავს.

გერმანელ კინოდოკუმენტალისტს ოლივერ ბეკერს აფრიკული მაგიის ამბები არ ეშლება, ამ თემაზე ნამუშევარია და ფილმში სასაფლაოც ალუბექდავს, თავწაჭრილი ქათამიც და მეტოქე გუნდის დაწყევლილი ფეხბურთელიც. ჰოდა, ცნობილმა „შპიგელმა" ბეკერს ინტერვიუ სთხოვა, ჩვენ კი ეს საუბარი მოვიძიეთ და ვთარგმნეთ

— ჰერ ბეკერ, ნუთუ აფრიკულ ფეხბურთში ჯადოქრობა მართლა ფესვებგადგმულია?

— არსებობს უამრავი ჯადოქარი, რომელიც ამტკიცებს, რომ მაგიას თამაშის მსვლელობაზე გავლენა მართლა აქვს. ეს ხალხი ჯადოს აკეთებს და ხსნის კიდეც. ისინი იმავდროულად ექიმებად მუშაობენ და მღვდლებიც არიან.

— თუ შეიძლება, ფეხბურთთან მათ კავშირზე უფრო დაწვრილებით გვითხარით.

— თითქმის ყველა აფრიკულ კლუბს ჰყავს თავისი ჯადოქარი. ეს ისეთივე ჩვეულებრივი ამბავია, როგორც მასაჟისტი გერმანულ კლუბებში.

— და ეს ხალხი მეტოქეს ჯადოს უკეთებს?

— სამხრეთ აფრიკაში არის საფეხბურთო კლუბი „ჰანტივუტონ იუნაიტედი", სადაც საოცარი ამბის მოწმე გავხდი: თავიდან გუნდის მაისურები ცხოველების სხეულის ნაწილებთან და რაღაც მცენარეებთან ერთად დიდ კასრში ჩაყარეს და ამორეცხეს, რასაც თან წინაპართა სულების გამოძახება ერთვოდა. შემდეგ ჯადოქარმა „ჰანტივუტონ იუნაიტედის" მწვრთნელს უთხრა, რა ტაქტიკით აპირებდა მოწინააღმდეგე თამაშს და თან თითოეული მოთამაშე საგანგებოდ შერჩეული ცხოველის ნაწილით „დაამუშავა".

— საგანგებოდ შერჩეული ნაწილი რას ნიშნავს?

— ზებრის ჩლიქი ამტანობას, დარტყმის ძალას და წინააღმდეგობის გაწევის უნარს ნიშნავს, რაც თავდამსხმელებს სჭირდებათ. მაიმუნის თათი ხტომისთვისაა ანუ ის მეკარისთვის გახლავთ აუცილებელი. კიდევ, მეკარეებს მაისურას ლომის ქონით და სამკურნალო მცენარეთა წვენებით უპოხავენ. ხომ გინახავთ, როგორ წმენდნენ მაისურით მეკარეები ბურთს მისი თამაშში შეტანის წინ? ამით ისინი წინ მოთამაშე თანაგუნდელებს ლომის ძალას უგზავნიან.

— ამ რიტუალებში ყველაზე ხშირად რომელი ცხოველების ნაწილები გამოიყენება?

— საფეხბურთო რიტუალებში ძალიან ხშირად ზებრის ნაწილებს იყენებენ, ვინაიდან ამ ცხოველს სირბილის უნარი და გამძლეობა აქვს ჭარბად მომადლებული. ლომი მეტოქეთა პატივისცემისა და რიდის მოსაპოვებლადაა მნიშვნელოვანი, მაიმუნი მოქნილია, შავი მამალი ჯადო-ძალას ფლობს და თან ძნელი მოსაძიებელი არ არის. სვაზილენდში ყველა გუნდი მარხავს თეთრ ძროხას, კენიაში კი საჯარიმო მოედანში მელიებს მარხავენ.

— კი მაგრამ, ეს ყველაფერი მეტოქემაც ხომ იცის?

— დიახ. ამიტომაც მიმდინარეობს ფსიქოლოგიური ომი. ყველა რეცეპტი და რიტუალი საიდუმლოა, რადგან ჯადოქრებს შორის დიდი კონკურენციაა.

— თან ეს ყველაფერი გამარჯვების გარანტიასაც რომ ვერ იძლევა? რა ხდება, როდესაც გუნდი მარცხდება?

— ჯადოქარი ან იმას ამტკიცებს, რომ მისი მეთოდები სწორად ვერ გამოიყენეს, ან აღიარებს, რომ მეტოქეს კიდევ უფრო დახვეწილი ჯადო ჰქონდა. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, ჯადოქარი ახალი მასალის შესაძენად მეტ ფულს ითხოვს.

— საინტერესოა, თქვენ როგორ დაუახლოვდით ამ ხალხს ასე.

— ეს ტანზანიის ნაკრების მწვრთნელის და ყოფილი მოთამაშის ჩარლზ მკვაზის დამსახურებაა. მან გამაცნო პოლიტიკოსები, ფუნქციონერები და მოთამაშეები. მისი დახმარებით მოვხვდი ისეთ ადგილებში სადაც, თეთრკანიანი ადამიანი არ ყოფილა, მით უფრო, კინოს ხალხი. უგანდაში, განაში, სამხრეთ აფრიკასა და სვაზილენდში კი აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციის დიდმოხელე ბენჯამინ კუფი გვიწყობდა საქმეებს.

— სამხრეთ აფრიკის საუკეთესო გუნდის „კაიზერ ჩიფსის" მწვრთნელი ერნსტ მიდენდორპიც დადის ჯადოქრებთან?

— ის ამბობს, რომ თუ მისი მოთამაშე მაგიის წყალობით მატჩის წინ მენტალურად კარგად ემზადება, ამის აკრძალვა არ შეიძლება. მანვე მითხრა, რომ მოთამაშეები ამ გზით სათამაშო პოტენციალის ხუთი პროცენტის შემატებას ცდილობენ, დანარჩენი კი ვარჯიშებზეა დამოკიდებული.

— თქვენ რომელმა რიტუალმა გაგაოცათ ყველაზე მეტად?

— დარესალამში ორი მოთამაშე კუნაპეტ ღამით ახალგაზრდა მუსლიმის საფლავზე გავიდა, დაჯდა და ფეხებზე წინასწარ მომზადებული ქათმის სისხლისა და რაღაც მცენარეების ნაზავი წაისვა. ისინი ხმადაბლა მღეროდნენ და მკვდრის ძალას უხმობდნენ. მანამდე ერთ-ერთ ქოხში ბურთი და მაისურები ნაკვერჩხალზე გადაატარეს.

— 2010 წელს მსოფლიოს ჩემპიონატი სამხრეთ აფრიკაში ჩატარდება. რაიმე ხიფათი ხომ არ არის მოსალოდნელი?

— აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციას კონტინენტის სპორტული ცხოვრებიდან ჯადოქრობის ამოძირკვა სურს და ამისკენ ნაბიჯებსაც დგამს. მაგალითად, მისი ბრძანებით, მოედანზე რაიმე ნივთიერების გადასხმა ან ფხვნილის გადაყრა აღარ შეიძლება, აკრძალულია ოფიციალურ თამაშებში ჯადოქრების სათადარიგოთა სკამზე ჯდომაც და ეს ყველაფერი 2001 წლიდან მოდის, როდესაც რუანდისა და უგანდის შეხვედრაში ასეთი ამბავი მოხდა: რუანდის მეკარემ კარზე სამარქაფო ხელთათმანი შემოდო და ბურთი ხუთჯერ მოხვდა მის ძელს... ანუ კარში არ შევიდა. უგანდელმა მაყურებელმა თავისი ნაკრების ასეთი უიღბლობა მოჯადოვებულ ხელთათმანებს დააბრალა და მეკარეს მისი ჩამოხსნა მოსთხოვა, რაზეც უარი მიიღო. ატყდა ერთი ამბავი, ხალხი მოედანზე გადავიდა. საბოლოოდ, თამაში ხუთი საათის შემდეგ, დიდი გაჭირვებით ჩაამთავრეს. რუანდამ 1:0 მოიგო.

— ჯადოქრობაზე სანქციებიც არსებობს?

— ტანზანიაში 2004 წელს „სიმბას" წარმომადგენლებმა თამაშის წინა საღამოს მოედანზე კვერცხი, ქოქოსი და კიდევ რაღაც დაყარეს, რაც „იანგას" ხალხმა გაიგო, სწრაფად მიაშურა იმ მოედანს და ზედ მოშარდა. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ ორივე გუნდი 500 დოლარით დააჯარიმა.

# მანჩესტერის თავზე ღამურები დაფრინავენ

„მანჩესტერ იუნაიტედის" პორტუგალიელი კრიშტიანუ რონალდუ ბოლო დროს შესაშურ ფორმაშია. შესაბამისად, საუბრები სხვა კლუბში მისი გადასვლის შესახებ უფრო გახშირდა. მსურველი ორია — იტალიური „იუვენტუსი" და ესპანური „ვალენსია". ეს ორი კლუბი 21 წლის ფეხბურთელს დიდი ხანია, უტრიალებს, ჯერ კიდევ იმ დროიდან მოყოლებული, როდესაც რონალდუ ლისაბონის „სპორტინგში" თამაშობდა.



„ვალენსიამ" უკვე ოფიციალურადაც გამოამჟღავნა თავისი ინტერესი. „ღამურები" მზად არიან, ინგლისელებს 17 მილიონი გირვანქა ჩაუთვალონ. „ვალენსიას" მომავალ სეზონში დიდი გეგმები ჰქონია და გაძლიერებას აპირებს.

„მინდა, ჩემპიონთა ლიგაში წარმატებულად გამოვიდეთ და კრიშტიანუ გუნდს ძალიან წაადგება. ჩვენ მისი შეძენა გვინდა და „მანჩესტერთან" მოლაპარაკებებს ვიწყებთ" — განაცხადა „ვალენსიას" პრეზიდენტმა ხუან სოლერმა.

შეგახსენებთ, რომ თავად რონალდუმ ცოტა ხნის წინ აღნიშნა „მანჩესტერში" მინდა დარჩენაო. მას კლუბთან მოქმედი კონტრაქტი 2010 წლამდე აკავშირებს.

„წითელ ეშმაკებს" კი თავიანთი გასაჭირი აქვთ. სერ ალექს ფერგიუსონი გუნდის გაძლიერებაზე ფიქრობს, რათა კვლავ პრემიერლიგის ჩემპიონობისთვის იბრძოლოს და მომავალ სეზონში ევროპაშიც ღირსეულად ითამაშოს.

**გიორგი ძაძამიძე**

## გერმანია

### ბუნდესლიგა
### გადადებული მატჩი

**კაიზერსლაუტერნი 1:1 შტუტგარტი**

1:0 ალტინტოპი (15), 1:1 გომეში (90)

**კაიზერსლაუტერნი:** ფრომლოვიცი, ბედა, შიონჰაიმი, ბლანკი, ჰოილანდი (მიკიჩი 79), ბორბელი (რაინერტი 55), ლემბი, ბელინგჰაუზენი, შკელა, სანოგო, ჰალილ ალტინტოპი (ჰალფარი 89)

მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი

**შტუტგარტი:** ჰილდებრანდი, ჰინკელი, მ. ბაბელი, დელპიერი, მანინი, ფ. მეირა (ჰიცლშპერგერი 66), სოლდო, ტიფერტი, გრონკიაერი (კაკაუ 87), ტომასონი (გომეში 59), ლიუბოია

მწვრთნელი: არმინ ფეე

გაფრთხილება: ბორბელი, ჰალფარი, ტიფერტი, გრონკიაერი

მსაჯი: ფლაიშერი

30 593 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 24 | 18 | 4 | 2 | 48:19 | 58 |
| ვერდერი | 24 | 15 | 5 | 4 | 55:26 | 50 |
| ჰამბურგი | 24 | 15 | 5 | 4 | 37:18 | 50 |
| შალკე | 24 | 13 | 9 | 2 | 35:18 | 48 |
| შტუტგარტი | 24 | 7 | 13 | 4 | 27:22 | 34 |
| გლადბახი | 24 | 8 | 9 | 7 | 30:29 | 33 |
| ლევერკუზენი | 24 | 8 | 8 | 8 | 41:38 | 32 |
| ჰანოვერი | 24 | 6 | 12 | 6 | 34:31 | 30 |
| დორტმუნდი | 24 | 7 | 9 | 8 | 29:29 | 30 |
| ჰერტა | 24 | 7 | 9 | 8 | 34:35 | 30 |
| არმინია | 24 | 7 | 6 | 11 | 26:34 | 27 |
| აინტრახტი | 24 | 7 | 5 | 12 | 31:39 | 26 |
| ვოლფსბურგი | 24 | 6 | 8 | 10 | 25:40 | 26 |
| ნიურნბერგი | 24 | 6 | 6 | 12 | 26:37 | 24 |
| ლაუტერნი | 24 | 6 | 6 | 12 | 34:51 | 24 |
| მაინცი | 24 | 5 | 6 | 13 | 33:39 | 21 |
| დუისბურგი | 24 | 4 | 8 | 12 | 23:43 | 20 |
| კიოლნი | 24 | 4 | 6 | 14 | 32:52 | 18 |

## საფრანგეთი

### პირველი დივიზიონი
### გადადებული მატჩი

**მეცი 0:0 ნანსი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 28 | 18 | 8 | 2 | 47:22 | 62 |
| ბორდო | 28 | 14 | 11 | 3 | 29:15 | 53 |
| ლილი | 29 | 14 | 8 | 7 | 41:19 | 50 |
| ოსერი | 29 | 14 | 5 | 10 | 36:28 | 47 |
| მარსელი | 29 | 12 | 8 | 9 | 27:28 | 44 |
| ლანსი | 29 | 9 | 15 | 5 | 35:26 | 42 |
| პსჟ | 29 | 11 | 9 | 9 | 31:26 | 42 |
| ლე მანი | 29 | 12 | 6 | 11 | 27:24 | 42 |
| რენი | 29 | 13 | 2 | 14 | 35:43 | 41 |
| ნანსი | 29 | 11 | 7 | 11 | 28:23 | 40 |
| ნიცა | 29 | 10 | 10 | 9 | 22:22 | 40 |
| სტ. ეტიენი | 29 | 10 | 10 | 9 | 25:27 | 40 |
| მონაკო | 28 | 10 | 7 | 11 | 27:25 | 37 |
| ნანტი | 29 | 9 | 8 | 12 | 29:30 | 35 |
| ტულუზი | 29 | 9 | 8 | 12 | 27:33 | 35 |
| სოშო | 28 | 8 | 9 | 11 | 23:28 | 33 |
| ტრუა | 29 | 6 | 10 | 13 | 24:36 | 28 |
| სტრასბური | 29 | 4 | 11 | 14 | 23:38 | 23 |
| მეცი | 29 | 4 | 11 | 14 | 21:44 | 23 |
| აიაჩო | 29 | 4 | 9 | 16 | 17:37 | 21 |

### მეორე დივიზიონი
### გადადებული მატჩი

**რეიმსი 0:1 ბასტია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბასტია | 28 | 14 | 8 | 6 | 39:22 | 50 |
| სედანი | 28 | 13 | 11 | 4 | 38:24 | 50 |
| ვალანსიენი | 28 | 12 | 11 | 5 | 35:23 | 47 |
| ლორიანი | 28 | 12 | 9 | 7 | 33:22 | 45 |
| დიჟონი | 28 | 11 | 10 | 7 | 31:24 | 43 |
| კრეტეი | 28 | 10 | 12 | 6 | 36:21 | 42 |
| კაენი | 28 | 10 | 11 | 7 | 35:27 | 41 |
| ლე ავრი | 28 | 9 | 12 | 7 | 35:30 | 39 |
| მონპელიე | 28 | 10 | 9 | 9 | 26:28 | 39 |
| გენიონი | 28 | 8 | 13 | 7 | 19:26 | 37 |
| გრენობლი | 28 | 9 | 9 | 10 | 26:30 | 36 |
| რეიმსი | 28 | 7 | 13 | 8 | 22:19 | 34 |
| გენგამი | 28 | 7 | 12 | 9 | 20:21 | 33 |
| ისტრი | 28 | 8 | 9 | 11 | 26:37 | 33 |
| შატორუ | 28 | 7 | 11 | 10 | 33:36 | 32 |
| ამიენი | 28 | 6 | 13 | 9 | 25:29 | 31 |
| ბრესტი | 28 | 7 | 10 | 11 | 25:31 | 31 |
| კლერმონი | 28 | 8 | 7 | 13 | 25:42 | 31 |
| ლავალი | 28 | 7 | 6 | 15 | 24:39 | 27 |
| სეტე | 28 | 3 | 8 | 17 | 22:44 | 17 |

## ინგლისი

### ჩემპიონატი
### გადადებული მატჩები

**პლიმუთი 0:0 პრესტონი**

**ვულვზი 0:0 სტოკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რედინგი | 37 | 27 | 8 | 2 | 80:24 | 89 |
| შეფილდი | 37 | 22 | 9 | 6 | 64:37 | 75 |
| ლიდსი | 36 | 20 | 9 | 7 | 51:29 | 69 |
| უოტფორდი | 37 | 19 | 11 | 7 | 67:43 | 68 |
| კრ. პალასი | 36 | 17 | 9 | 10 | 53:36 | 60 |
| პრესტონი | 35 | 13 | 17 | 5 | 45:25 | 56 |
| ვულვზი | 37 | 13 | 16 | 8 | 40:30 | 55 |
| კარდიფი | 37 | 15 | 10 | 12 | 51:43 | 55 |
| იფსვიჩი | 36 | 13 | 11 | 12 | 42:48 | 50 |
| ნორვიჩი | 37 | 14 | 7 | 16 | 45:52 | 49 |
| ლუტონი | 37 | 14 | 6 | 17 | 56:58 | 48 |
| ქოვენთრი | 37 | 12 | 12 | 13 | 49:54 | 48 |
| პლიმუთი | 37 | 11 | 14 | 12 | 33:39 | 47 |
| ქუინზ პარკი | 36 | 12 | 10 | 14 | 41:50 | 46 |
| სტოკი | 36 | 13 | 5 | 18 | 38:50 | 44 |
| ბარნსლი | 36 | 12 | 7 | 17 | 41:47 | 43 |
| საუთჰემპტონი | 36 | 8 | 17 | 11 | 34:37 | 41 |
| ლესტერი | 37 | 9 | 13 | 15 | 41:50 | 40 |
| დერბი | 37 | 7 | 18 | 12 | 45:54 | 39 |
| ჰალი | 37 | 9 | 11 | 17 | 41:49 | 38 |
| უენსდი | 37 | 8 | 10 | 19 | 27:47 | 34 |
| მილუოლი | 37 | 6 | 14 | 17 | 28:50 | 32 |
| ბრაიტონი | 37 | 5 | 14 | 18 | 32:58 | 29 |
| ქრიუ | 36 | 5 | 12 | 19 | 41:75 | 27 |

რეკლამა
სარბიელ-ში
38-11-14,
877 54 55 00

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **11 მარტი** | | | | | | |
| 16:00 | 3 | ბირმინგემი-ვესტ ბრომვიჩი | 2.05 | 3.20 | 3.50 | 1.24 | 1.29 | 1.67 |
| 16:45 | 4 | ჩელსი-ტოტენჰემი | 1.45 | 3.70 | 7.50 | 1.04 | 1.21 | 2.47 |
| 19:00 | 7 | ბოლტონი-ვესტ ჰემი | 2.10 | 3.20 | 3.35 | 1.26 | 1.29 | 1.63 |
| 19:00 | 8 | ევერტონი-ფულჰემი | 1.85 | 3.30 | 4.10 | 1.18 | 1.27 | 1.82 |
| 19:00 | 9 | სანდერლენდი-უიგანი | 2.95 | 3.20 | 2.30 | 1.53 | 1.29 | 1.33 |
| 19:00 | 10 | პორტსმუთი-სიტი | 2.80 | 3.20 | 2.40 | 1.49 | 1.29 | 1.37 |
| 21:15 | 11 | ბლექბერნი-ასტონ ვილა | 1.90 | 3.20 | 4.00 | 1.19 | 1.28 | 1.77 |
| | | **12 მარტი** | | | | | | |
| 19:00 | 6 | ჩარლტონი-მიდლსბრო | 2.25 | 3.20 | 3.00 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| 17:30 | 12 | მანჩესტერი-ნიუკასლი | 1.40 | 4.20 | 7.00 | 1.04 | 1.16 | 2.62 |
| 20:00 | 13 | არსენალი-ლივერპული | 2.25 | 3.20 | 3.00 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **11 მარტი** | | | | | | |
| 19:00 | 16 | ვულვერჰემპტონი-კარდიფი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 19:00 | 17 | რედინგი-უოტფორდი | 1.60 | 3.50 | 5.30 | 1.09 | 1.22 | 2.10 |
| 19:00 | 18 | უენსდი-ქპრ | 2.40 | 3.10 | 2.65 | 1.35 | 1.25 | 1.42 |
| 19:00 | 19 | ლუტონი-ლესტერი | 1.9[illegible] | 3.20 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| 19:00 | 20 | ლიდსი-ნორვიჩი | 1.70 | 3.30 | 4.60 | 1.12 | 1.24 | 1.92 |
| 19:00 | 21 | ბრაიტონი-პრესტონი | 3.20 | 3.20 | 2.10 | 1.60 | 1.26 | 1.26 |
| 19:00 | 22 | დერბი-ბარნლი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 19:00 | 23 | ქოვენტრი-შეფილდი | 2.65 | 3.20 | 2.40 | 1.44 | 1.25 | 1.37 |
| 19:00 | 24 | ქრუ-საუთჰემპტონი | 2.70 | 3.20 | 2.40 | 1.46 | 1.27 | 1.37 |
| 19:00 | 25 | იფსვიჩი-მილუოლი | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| 19:00 | 26 | ჰალი-პლიმუთი | 2.25 | 3.20 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **10 მარტი** | | | | | | |
| 23:45 | 29 | საუთენდი-სკანთორპი | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| 23:45 | 30 | ჰარტლპული-ჰადერსფილდი | 2.60 | 3.20 | 2.40 | 1.43 | 1.24 | 1.37 |
| 23:45 | 39 | დონსი-ბრისტოლი | 2.40 | 3.20 | 2.55 | 1.37 | 1.23 | 1.41 |
| | | **11 მარტი** | | | | | | |
| 19:00 | 31 | დონკასტერი-პორტ ვეილი | 1.95 | 3.20 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| 19:00 | 32 | ბრენტფორდი-ბარნსლი | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| 19:00 | 33 | ბლეკპული-როტერჰემი | 1.95 | 3.20 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| 19:00 | 34 | ბორნმუთი-ბრედფორდი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 19:00 | 35 | ტრანმერი-ჩესტერფილდი | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| 19:00 | 36 | ოლდემი-კოლჩესტერი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 19:00 | 37 | ნოტინგემი-ჯილინგემი | 1.60 | 3.40 | 5.20 | 1.08 | 1.22 | 2.05 |
| 19:00 | 38 | იოვილი-სუინდონი | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| | | **12 მარტი** | | | | | | |
| 19:00 | 40 | სუონსი-უოლსოლი | 1.60 | 3.40 | 5.00 | 1.08 | 1.21 | 2.02 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **10 მარტი** | | | | | | |
| 23:45 | 42 | ნორთჰემპტონი-კარლაილი | 2.15 | 3.10 | 3.10 | 1.26 | 1.26 | 1.54 |
| | | **11 მარტი** | | | | | | |
| 19:00 | 43 | მენსფილდი-ბისტონი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 19:00 | 44 | მაკლსფილდი-როჩდეილი | 2.15 | 3.20 | 2.90 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| 19:00 | 45 | ლეიტონი-ჩელტენემი | 1.95 | 3.20 | 3.45 | 1.21 | 1.24 | 1.66 |
| 19:00 | 46 | ლინკოლნი-რაშდენი | 1.60 | 3.40 | 5.00 | 1.08 | 1.21 | 2.02 |
| 19:00 | 47 | სტოკპორტი-ოქსფორდი | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| 19:00 | 48 | ტორკი-პიტერბორო | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| 19:00 | 49 | როვერსი-ნოტსი | 1.80 | 3.30 | 3.90 | 1.16 | 1.23 | 1.78 |
| 19:00 | 50 | დარლინგტონი-ჩესტერი | 1.70 | 3.40 | 4.30 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| 19:00 | 51 | გრიმსბი-ბარნეტი | 1.60 | 3.40 | 5.00 | 1.08 | 1.21 | 2.02 |
| 19:00 | 52 | რექსემი-ბერი | 1.75 | 3.30 | 4.20 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| 19:00 | 53 | უიკომბი-შრუსბერი | 1.65 | 3.30 | 4.80 | 1.10 | 1.22 | 1.95 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **11 მარტი** | | | | | | |
| 19:00 | 70 | დანდი იუნაიტედი-ლივინგსტონი | 1.60 | 3.50 | 4.80 | 1.09 | 1.20 | 2.02 |
| 19:00 | 71 | დანფერმლაინი-აბერდინი | 3.00 | 3.20 | 2.10 | 1.54 | 1.23 | 1.26 |
| 19:00 | 72 | ინვერნესი-ჰართსი | 3.60 | 3.30 | 1.85 | 1.72 | 1.22 | 1.18 |
| 19:00 | 74 | რეინჯერსი-კილმარნოკი | 1.45 | 3.90 | 6.20 | 1.05 | 1.17 | 2.39 |
| 19:00 | 75 | მოზერუელი-ფოლკირკი | 1.65 | 3.30 | 4.70 | 1.10 | 1.22 | 1.93 |
| | | **12 მარტი** | | | | | | |
| 18:00 | 76 | ჰიბერნიანი-სელტიკი | 6.00 | 3.50 | 1.50 | 2.21 | 1.20 | 1.04 |
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **11 მარტი** | | | | | | |
| 19:00 | 77 | სტ.მირენი-ქუინი | 1.43 | 4.00 | 5.80 | 1.05 | 1.14 | 2.36 |
| 19:00 | 78 | როსი-სტ.ჯონსტონი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 19:00 | 80 | კლაიდი-ბრეჩინი | 1.40 | 4.10 | 6.00 | 1.04 | 1.13 | 2.43 |
| 19:00 | 81 | ერდრი-დანდი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| | | **12 მარტი** | | | | | | |
| 18:00 | 79 | ჰამილტონი-სტრანრარი | 1.55 | 3.60 | 5.00 | 1.08 | 1.18 | 2.09 |
| | | **შოტლანდია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **11 მარტი** | | | | | | |
| 19:00 | 84 | გრეტნა-მორტონი | 1.55 | 3.60 | 4.80 | 1.08 | 1.17 | 2.05 |
| 19:00 | 85 | ფორფარი-ალოა | 1.80 | 3.40 | 3.65 | 1.17 | 1.20 | 1.76 |
| 19:00 | 86 | დამბარტონი-პიტერჰედი | 2.90 | 3.30 | 2.10 | 1.54 | 1.21 | 1.28 |
| 19:00 | 87 | სტირლინგი-რეითი | 1.90 | 3.40 | 3.20 | 1.21 | 1.19 | 1.64 |
| 19:00 | 88 | პარტიკი-ეარი | 1.55 | 3.60 | 5.00 | 1.08 | 1.18 | 2.09 |
| | | **შოტლანდია. III დივიზიონი** | | | | | | |
| | | **11 მარტი** | | | | | | |
| 19:00 | 92 | ბერიკი-კოუდენბითი | 2.30 | 3.20 | 2.60 | 1.33 | 1.22 | 1.43 |
| 19:00 | 93 | ისტ ფაიფი-ალბიონი | 1.85 | 3.40 | 3.50 | 1.19 | 1.21 | 1.72 |
| 19:00 | 94 | მონტროუზი-ისტ სტირლინგი | 1.60 | 3.60 | 4.50 | 1.10 | 1.18 | 2.00 |
| 19:00 | 95 | სტენჰაუსმუირი-არბროთი | 1.60 | 3.60 | 4.60 | 1.10 | 1.18 | 2.01 |
| 19:00 | 96 | ქუინს პარკი-ელგინი | 2.10 | 3.30 | 2.85 | 1.28 | 1.20 | 1.52 |
| | | **გერმანია. I ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **11 მარტი** | | | | | | |
| 18:30 | 97 | ვოლფსბურგი-ბაიერნი | 4.40 | 3.40 | 1.75 | 1.91 | 1.25 | 1.15 |
| 18:30 | 99 | არმინია-ლევერკუზენი | 2.50 | 3.20 | 2.60 | 1.40 | 1.27 | 1.43 |
| 18:30 | 100 | დუისბურგი-ჰანოვერი | 2.60 | 3.10 | 2.60 | 1.41 | 1.29 | 1.41 |
| 18:30 | 101 | კიოლნი-ნიურნბერგი | 2.25 | 3.20 | 3.00 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| 18:30 | 102 | მაინცი-მიონხენგლადბახი | 2.35 | 3.20 | 2.80 | 1.35 | 1.27 | 1.49 |
| 18:30 | 103 | შალკე-აინტრახტი | 1.45 | 3.80 | 7.00 | 1.04 | 1.20 | 2.46 |
| 18:30 | 105 | შტუტგარტი-დორტმუნდი | 1.85 | 3.30 | 3.95 | 1.18 | 1.25 | 1.79 |
| | | **12 მარტი** | | | | | | |
| 20:30 | 106 | ჰამბურგი-კაიზერსლაუტერნი | 1.50 | 3.70 | 6.50 | 1.06 | 1.21 | 2.35 |
| 20:30 | 108 | ვერდერი-ჰერტა | 1.55 | 3.60 | 5.70 | 1.08 | 1.21 | 2.20 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **10 მარტი** | | | | | | |
| 22:00 | 114 | ზაარბრიუკენი-უნტერჰახინგი | 2.50 | 3.20 | 2.40 | 1.40 | 1.22 | 1.37 |
| 22:00 | 118 | ოფენბახი-პადერბორნი | 2.30 | 3.20 | 2.65 | 1.33 | 1.23 | 1.44 |
| 22:00 | 119 | ალენი-აუე | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| | | **12 მარტი** | | | | | | |
| 18:00 | 112 | ფრაიბურგი-ბრაუნშვაიგი | 1.55 | 3.50 | 4.80 | 1.07 | 1.17 | 2.02 |
| 18:00 | 113 | კოტბუსი-კარლსრუე | 1.85 | 3.30 | 3.50 | 1.18 | 1.21 | 1.69 |
| 18:00 | 115 | ფიურტი-ალემანია | 2.35 | 3.20 | 2.60 | 1.35 | 1.23 | 1.43 |
| 18:00 | 116 | ჰანზა-ბურგჰაუზენი | 1.80 | 3.30 | 3.60 | 1.16 | 1.20 | 1.72 |
| 18:00 | 117 | დინამო-ზიგენი | 1.70 | 3.30 | 4.20 | 1.12 | 1.21 | 1.84 |
| | | **13 მარტი** | | | | | | |
| 23:15 | 120 | მიუნხენი 1860-ბოხუმი | 2.50 | 3.10 | 2.50 | 1.38 | 1.25 | 1.38 |
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **11 მარტი** | | | | | | |
| 21:30 | 141 | მატერსბურგი-შტურმი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 21:30 | 142 | ზალცბურგი-ადმირა | 1.33 | 4.30 | 8.00 | 1.01 | 1.14 | 2.79 |
| 21:30 | 144 | გრაცერი-ტიროლი | 1.52 | 3.70 | 5.50 | 1.07 | 1.19 | 2.21 |
| 21:30 | 146 | აუსტრია-პაშინგი | 1.45 | 3.90 | 6.50 | 1.05 | 1.18 | 2.43 |
| | | **12 მარტი** | | | | | | |
| 18:30 | 147 | რიდი-რაპიდი | 2.45 | 3.20 | 2.55 | 1.38 | 1.24 | 1.41 |
| | | **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **11 მარტი** | | | | | | |
| 20:00 | 155 | იანგ ბოისი-აარაუ | 1.55 | 3.50 | 5.30 | 1.07 | 1.19 | 2.10 |
| 22:30 | 156 | ციურიხი-სტ.გალენი | 1.55 | 3.70 | 5.00 | 1.09 | 1.18 | 2.12 |
| | | **12 მარტი** | | | | | | |
| 19:15 | 153 | ბაზელი-გრასჰოპერი | 1.55 | 3.60 | 5.00 | 1.08 | 1.18 | 2.09 |
| 19:00 | 154 | შაფჰაუზენი-ქსამაქსი | 2.25 | 3.20 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| 19:00 | 157 | ივერდონი-თუნი | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| | | **იტალია. სერია A** | | | | | | |
| | | **11 მარტი** | | | | | | |
| 21:00 | 167 | სიენა-ტრევიზო | 1.55 | 3.50 | 6.00 | 1.07 | 1.23 | 2.21 |
| 23:30 | 168 | ინტერი-სამპდორია | 1.45 | 3.80 | 7.00 | 1.04 | 1.20 | 2.46 |
| | | **12 მარტი** | | | | | | |
| 18:00 | 170 | ასკოლი-რომა | 4.00 | 2.90 | 2.00 | 1.68 | 1.33 | 1.18 |
| 18:00 | 171 | კალიარი-ფიორენტინა | 2.90 | 2.80 | 2.60 | 1.42 | 1.37 | 1.34 |
| 18:00 | 173 | ემპოლი-კიევო | 2.70 | 2.90 | 2.65 | 1.39 | 1.33 | 1.38 |
| 18:00 | 174 | ლაციო-რეჯინა | 1.70 | 3.10 | 6.00 | 1.09 | 1.32 | 2.04 |
| 18:00 | 175 | პარმა-ლივორნო | 2.40 | 2.80 | 3.20 | 1.29 | 1.37 | 1.49 |
| 18:00 | 176 | პალერმო-უდინეზე | 1.90 | 2.90 | 4.50 | 1.14 | 1.33 | 1.76 |
| 18:00 | 177 | მესინა-ლეჩე | 1.85 | 3.00 | 4.65 | 1.14 | 1.32 | 1.82 |
| 23:30 | 178 | იუვენტუსი-მილანი | 2.25 | 2.90 | 3.30 | 1.26 | 1.33 | 1.54 |
| | | **იტალია. სერია B** | | | | | | |
| | | **10 მარტი** | | | | | | |
| 23:45 | 180 | ბარი-ბრეშა | 2.60 | 2.70 | 2.80 | 1.32 | 1.34 | 1.37 |
| | | **11 მარტი** | | | | | | |
| 19:00 | 181 | ბოლონია-კატანია | 2.65 | 2.60 | 2.80 | 1.31 | 1.36 | 1.34 |
| 19:00 | 182 | რიმინი-აველინო | 1.85 | 2.70 | 4.85 | 1.09 | 1.33 | 1.73 |
| 19:00 | 183 | პესკარა-ალბინოლეფე | 1.65 | 3.00 | 5.20 | 1.06 | 1.25 | 1.90 |
| 19:00 | 184 | პიაჩენცა-ტორინო | 2.60 | 2.70 | 2.70 | 1.32 | 1.32 | 1.35 |
| 19:00 | 185 | ტერნანა-ვიჩენცა | 2.40 | 2.70 | 3.00 | 1.27 | 1.33 | 1.42 |
| 19:00 | 186 | ვერონა-მოდენა | 2.25 | 2.70 | 3.30 | 1.22 | 1.33 | 1.48 |
| 19:00 | 187 | კატანძარო-არეცო | 2.60 | 2.70 | 2.70 | 1.32 | 1.32 | 1.35 |
| 19:00 | 188 | მანტოვა-კრემონეზე | 1.50 | 3.50 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.21 |
| 19:00 | 189 | ატალანტა-კროტონე | 1.50 | 3.30 | 6.50 | 1.03 | 1.21 | 2.18 |
| | | **13 მარტი** | | | | | | |
| 23:45 | 190 | ტრიესტინა-ჩეზენა | 2.85 | 2.70 | 2.55 | 1.38 | 1.34 | 1.31 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **11 მარტი** | | | | | | |
| 23:45 | 210 | ვალენსია-რეალი | 2.30 | 3.20 | 2.90 | 1.33 | 1.28 | 1.52 |
| 23:00 | 213 | დეპორტივო-სოსიედადი | 1.65 | 3.40 | 5.50 | 1.11 | 1.26 | 2.10 |
| 21:00 | 215 | ესპანიოლი-სელტა | 2.45 | 3.20 | 2.75 | 1.38 | 1.29 | 1.47 |
| | | **12 მარტი** | | | | | | |
| 20:00 | 209 | სარაგოსა-ხეტაფე | 1.85 | 3.20 | 4.20 | 1.17 | 1.28 | 1.81 |
| 20:00 | 211 | მალიორკა-ვილიარეალი | 2.70 | 3.10 | 2.50 | 1.44 | 1.29 | 1.38 |
| 23:45 | 212 | ოსასუნა-ბარსელონა | 4.50 | 3.30 | 1.75 | 1.90 | 1.25 | 1.14 |
| 20:00 | 216 | ბეტისი-მალაგა | 1.80 | 3.30 | 4.30 | 1.16 | 1.26 | 1.86 |
| 20:00 | 217 | ალავესი-სევილია | 2.70 | 3.20 | 2.45 | 1.46 | 1.28 | 1.38 |
| 20:00 | 219 | ბილბაო-კადისი | 1.90 | 3.30 | 3.90 | 1.20 | 1.27 | 1.78 |
| 22:00 | 220 | ატლეტიკო-რასინგი | 1.65 | 3.40 | 5.50 | 1.11 | 1.26 | 2.10 |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **11 მარტი** | | | | | | |
| 21:30 | 223 | ნუმანსია-ტენერიფე | 1.95 | 2.80 | 4.10 | 1.14 | 1.32 | 1.66 |
| 21:30 | 228 | ალმერია-ვალიადოლიდი | 2.00 | 2.80 | 3.80 | 1.16 | 1.31 | 1.61 |
| 21:30 | 229 | კასტელონი-სპორტინგი | 2.50 | 2.70 | 2.85 | 1.29 | 1.33 | 1.38 |
| 21:30 | 231 | რეალი(ბ)-ეიბარი | 1.75 | 3.00 | 4.40 | 1.10 | 1.25 | 1.78 |
| | | **12 მარტი** | | | | | | |
| 20:00 | 221 | ალბასეტე-ფეროლი | 1.80 | 2.90 | 4.50 | 1.11 | 1.28 | 1.76 |
| 20:00 | 222 | ჰერკულესი-ლეიდა | 2.30 | 2.70 | 3.30 | 1.24 | 1.35 | 1.48 |
| 15:00 | 224 | უელვა-ლევანტე | 2.15 | 2.70 | 3.55 | 1.19 | 1.33 | 1.53 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:30 | 225 | ხერესი-სიუდადი | 2.10 | 2.80 | 3.75 | 1.20 | 1.34 | 1.60 |
| 20:00 | 226 | ტარაგონა-ეხიდო | 1.80 | 2.90 | 4.50 | 1.11 | 1.28 | 1.76 |
| 20:00 | 227 | მურსია-ელჩე | 2.20 | 2.70 | 3.50 | 1.21 | 1.35 | 1.52 |
| 20:00 | 230 | მალაგა ბ-ლორკა | 2.80 | 2.80 | 2.50 | 1.39 | 1.32 | 1.32 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **11 მარტი** | | | | | | |
| 20:15 | 233 | ნანსი-პსჟ | 2.55 | 2.90 | 2.80 | 1.35 | 1.33 | 1.42 |
| 23:00 | 236 | მონაკო-სოშო | 1.80 | 3.10 | 4.50 | 1.13 | 1.28 | 1.83 |
| 23:00 | 237 | ლიონი-მეცი | 1.28 | 4.90 | 9.00 | 1.01 | 1.12 | 3.17 |
| 23:00 | 239 | ლანსი-ტრუა | 1.60 | 3.40 | 5.80 | 1.08 | 1.25 | 2.14 |
| 23:00 | 241 | რენი-აიაჩო | 1.65 | 3.40 | 5.00 | 1.11 | 1.24 | 2.02 |
| 23:00 | 242 | ბორდო-ტულუზა | 1.50 | 3.70 | 6.50 | 1.06 | 1.21 | 2.35 |
| 23:00 | 244 | ოსერი-ნიცა | 1.80 | 3.00 | 4.80 | 1.12 | 1.30 | 1.84 |
| | | **12 მარტი** | | | | | | |
| 21:00 | 234 | ნანტი-ლილი | 2.60 | 3.10 | 2.60 | 1.41 | 1.29 | 1.41 |
| 21:00 | 240 | სტრასბური-ლე მანი | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| 23:45 | 245 | მარსელი-სტ.ეტიენი | 1.85 | 3.10 | 4.50 | 1.15 | 1.31 | 1.83 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **10 მარტი** | | | | | | |
| 23:30 | 258 | სტ.ტრუიდენი-ანდერლეხტი | 4.70 | 3.60 | 1.65 | 2.03 | 1.22 | 1.13 |
| | | **11 მარტი** | | | | | | |
| 21:00 | 260 | გენკი-ბეერსხოტი | 1.60 | 3.60 | 5.00 | 1.10 | 1.21 | 2.09 |
| 23:00 | 261 | ბევერენი-ვესტერლო | 2.50 | 3.20 | 2.55 | 1.40 | 1.26 | 1.41 |
| 23:00 | 262 | ბრიუგე-შარლერუა | 1.35 | 4.20 | 7.50 | 1.02 | 1.14 | 2.69 |
| 23:00 | 264 | ლიერსი-გენტი | 2.35 | 3.30 | 2.65 | 1.37 | 1.24 | 1.46 |
| 23:00 | 265 | მუსკრონი-სერკლი | 1.85 | 3.30 | 3.75 | 1.18 | 1.23 | 1.75 |
| 23:00 | 266 | რუსელარე-ვარეგემი | 2.50 | 3.30 | 2.55 | 1.42 | 1.26 | 1.43 |
| 23:00 | 267 | ბრიუსელი-ლევენი | 1.75 | 3.20 | 4.30 | 1.13 | 1.24 | 1.83 |
| | | **12 მარტი** | | | | | | |
| 23:00 | 268 | ლოკერენი-სტანდარდი | 3.50 | 3.30 | 2.00 | 1.69 | 1.27 | 1.24 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **10 მარტი** | | | | | | |
| 23:30 | 283 | ტვენტე-ბრედა | 1.75 | 3.40 | 4.10 | 1.15 | 1.22 | 1.85 |
| | | **11 მარტი** | | | | | | |
| 22:30 | 280 | როდა-სპარტა | 1.65 | 3.50 | 4.50 | 1.12 | 1.20 | 1.96 |
| 22:30 | 281 | დენ ჰააგი-გრონინგენი | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| 23:00 | 284 | ნაიმეგენი-ჰერაკლესი | 1.60 | 3.50 | 4.80 | 1.09 | 1.20 | 2.02 |
| 22:30 | 285 | აიაქსი-პსვ | 2.45 | 3.30 | 2.55 | 1.40 | 1.24 | 1.43 |
| | | **12 მარტი** | | | | | | |
| 17:30 | 279 | უტრეხტი-ჰერენვენი | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| 17:30 | 286 | ფეიენოორდი-ვალვაიკი | 1.25 | 4.80 | 9.50 | 1.00 | 1.10 | 3.18 |
| 17:30 | 288 | ვიტესი-როზენდალი | 1.40 | 4.00 | 7.50 | 1.03 | 1.17 | 2.60 |
| 17:30 | 289 | ტილბურგი-ალკმაარი | 4.00 | 3.50 | 1.75 | 1.86 | 1.21 | 1.16 |
| | | **ჰოლანდია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **9 მარტი** | | | | | | |
| 23:00 | 291 | ოსი-აპელდოორნი | 1.90 | 3.30 | 3.30 | 1.20 | 1.20 | 1.64 |
| | | **პორტუგალია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **10 მარტი** | | | | | | |
| 23:45 | 312 | სეტუბალი-პორტუ | 4.75 | 3.30 | 1.65 | 1.94 | 1.22 | 1.10 |
| | | **11 მარტი** | | | | | | |
| 23:45 | 314 | სპორტინგი-ბოავიშტა | 1.60 | 3.50 | 4.80 | 1.09 | 1.20 | 2.02 |
| 23:00 | 315 | მარიტიმუ-რიუ ავე | 1.80 | 3.20 | 4.30 | 1.15 | 1.26 | 1.83 |
| 20:00 | 317 | აკადემიკა-პენაფიელი | 1.55 | 3.60 | 5.50 | 1.08 | 1.20 | 2.17 |
| 20:00 | 320 | ჟილ ვისენტე-ლეირია | 2.25 | 3.20 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| | | **12 მარტი** | | | | | | |
| 23:45 | 318 | ბენფიკა-ნავალი | 1.25 | 5.00 | 9.50 | 1.00 | 1.10 | 3.27 |
| 20:00 | 321 | ნასიონალი-ამადორა | 1.65 | 3.40 | 4.80 | 1.11 | 1.22 | 1.99 |
| 20:00 | 322 | ფერეირა-გიმარაეში | 2.45 | 3.20 | 2.60 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| | | **13 მარტი** | | | | | | |
| 23:45 | 316 | ბელენენსეში-ბრაგა | 2.60 | 3.20 | 2.45 | 1.43 | 1.26 | 1.38 |
| | | **საბერძნეთი** | | | | | | |
| | | **12 მარტი** | | | | | | |
| 17:30 | 333 | ოლიმპიაკოსი-კალამარია | 1.20 | 5.20 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.62 |
| 17:30 | 334 | ოფი-იონიკოსი | 1.80 | 3.20 | 4.00 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| 17:30 | 335 | პაოკ-პანათინაიკოსი | 3.10 | 3.00 | 2.15 | 1.52 | 1.26 | 1.25 |
| 17:30 | 336 | ოლიმპია-ქსანთი | 2.00 | 3.00 | 3.50 | 1.20 | 1.27 | 1.61 |
| 17:30 | 337 | ეგალეო-ატრომიტოსი | 2.05 | 3.00 | 3.40 | 1.21 | 1.27 | 1.59 |
| 17:30 | 338 | აკრატიტოსი-კალითეა | 2.35 | 3.00 | 2.80 | 1.31 | 1.27 | 1.44 |
| 17:30 | 339 | ლევადიაკოსი-ირაკლისი | 2.35 | 3.00 | 2.75 | 1.31 | 1.26 | 1.43 |
| | | **დანია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **11 მარტი** | | | | | | |
| 20:00 | 493 | ორჰუსი-სონდერიისკე | 1.95 | 3.20 | 3.60 | 1.21 | 1.26 | 1.69 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **12 მარტი** | | | | | | |
| 18:00 | 494 | ოლბორგი-ჰორსენსი | 1.50 | 3.70 | 5.50 | 1.06 | [illegible] | 2.21 |
| 18:00 | 495 | ესბიერგი-მიდტიულანდი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 18:00 | 496 | ოდენსე-ნორდსილანდი | 1.80 | 3.30 | 3.90 | 1.16 | 1.23 | 1.78 |
| 18:00 | 497 | ვიბორგი-სილკებორგი | 1.80 | 3.20 | 4.00 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| 20:30 | 498 | ბრონდბიუ-კოპენჰაგენი | 2.35 | 3.20 | 2.70 | 1.35 | 1.25 | 1.46 |
| | | **უეფას თასი** | | | | | | |
| | | **9 მარტი** | | | | | | |
| 21:00 | 447 | პალერმო-შალკე | 2.40 | 3.10 | 2.75 | 1.35 | 1.28 | 1.45 |
| 22:00 | 448 | ლილი-სევილია | 2.25 | 3.00 | 3.10 | 1.28 | 1.30 | 1.52 |
| 23:45 | 449 | მიდლსბრო-რომა | 2.60 | 3.10 | 2.50 | 1.41 | 1.27 | 1.38 |
| 23:45 | 450 | უდინეზე-ლევსკი | 1.55 | 3.50 | 5.80 | 1.07 | 1.22 | 2.18 |
| 21:00 | 451 | სტიაუა-ბეტისი | 2.25 | 3.20 | 2.95 | 1.32 | 1.27 | 1.53 |
| 23:15 | 452 | ბაზელი-სტრასბური | 1.95 | 3.20 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| 23:45 | 453 | მარსელი-ზენიტი | 1.70 | 3.30 | 4.75 | 1.12 | 1.25 | 1.94 |
| 19:00 | 454 | რაპიდი(ბ)-ჰამბურგი | 2.65 | 3.10 | 2.45 | 1.42 | 1.27 | 1.36 |
| | | **შოტლანდია. თასი** | | | | | | |
| | | **9 მარტი** | | | | | | |
| 23:45 | 457 | დანდი-ჰამილტონი | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| | | **თურქეთი. თასი** | | | | | | |
| | | **9 მარტი** | | | | | | |
| 18:00 | 729 | დენიზლი-სამსუნი | 1.90 | 3.30 | 3.50 | 1.20 | 1.23 | 1.69 |
| 22:00 | 730 | ბეშიქთაში-კაისერი | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| | | **ფინეთი. თასი** | | | | | | |
| | | **10 მარტი** | | | | | | |
| 21:00 | 471 | იარო-ვპს | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| | | **როიალ ლიგა** | | | | | | |
| | | **9 მარტი** | | | | | | |
| 21:30 | 479 | მიდტიულანდი-ლინი | 1.95 | 3.30 | 3.40 | 1.22 | 1.23 | 1.67 |
| 23:35 | 480 | ჰამარბი-კოპენჰაგენი | 2.35 | 3.30 | 2.65 | 1.37 | 1.24 | 1.46 |
| 23:35 | 481 | ლილესტრომი-გოტებორგი | 1.95 | 3.20 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| 23:35 | 482 | ვალერენგა-იურგორდენი | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| | | **ლიბერტადორესის თასი** | | | | | | |
| | | **9 მარტი** | | | | | | |
| 23:45 | 490 | ნასიონალი-მარაკაიბო | 1.40 | 3.90 | 6.50 | 1.03 | 1.15 | 2.43 |
| 23:45 | 491 | ინდეპენდიენტე-ესტუდიანტესი | 2.15 | 3.20 | 2.90 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| 23:45 | 492 | ტიგრესი-კორინთიანსი | 2.25 | 3.20 | 2.70 | 1.32 | 1.22 | 1.46 |
| | | **ჰოკეი. ფინეთი** | | | | | | |
| | | **9 მარტი** | | | | | | |
| 20:30 | 670 | საიპა-იოკერიტი | 1.90 | 4.20 | 2.50 | 1.30 | 1.07 | 1.56 |
| 20:30 | 671 | ტაპარა-ჰამეენლინა | 2.00 | 4.10 | 2.25 | 1.34 | 1.05 | 1.45 |
| 20:30 | 672 | ესეტი-ესპოო | 1.70 | 4.30 | 2.80 | 1.21 | 1.05 | 1.69 |
| 20:30 | 673 | იუვესკიულე-ტურკუ | 1.85 | 4.30 | 2.50 | 1.29 | 1.06 | 1.58 |
| 20:30 | 674 | კალპა-პელიკანსი | 2.50 | 4.20 | 1.70 | 1.56 | 1.01 | 1.21 |
| 20:30 | 675 | კერპეტი-ილვესი | 1.65 | 4.20 | 3.10 | 1.18 | 1.07 | 1.78 |
| 20:30 | 676 | ჰელსინკი-ლუკო | 1.30 | 4.60 | 4.50 | 1.01 | 1.00 | 2.27 |
| | | **ჰოკეი. ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **9 მარტი** | | | | | | |
| 20:30 | 684 | კლადნო-პლზენი | 2.10 | 4.00 | 2.20 | 1.37 | 1.07 | 1.41 |
| 20:30 | 685 | ლიტვინოვი-კარლოვი ვარი | 2.00 | 4.20 | 2.30 | 1.35 | 1.06 | 1.48 |
| 20:30 | 686 | პარდუბიცე-ზლინი | 1.55 | 4.50 | 3.20 | 1.15 | 1.04 | 1.87 |
| 20:30 | 687 | სპარტა-სლავია | 2.00 | 4.00 | 2.30 | 1.33 | 1.06 | 1.46 |
| 20:30 | 688 | ტრჟინეცი-ვიტკოვიცე | 1.60 | 4.00 | 3.30 | 1.14 | 1.07 | 1.80 |
| 20:30 | 689 | ვსეტინი-ლიბერეცი | 4.00 | 4.20 | 1.45 | 2.04 | 1.06 | 1.07 |
| 20:30 | 690 | ზნოიმო-ბუდეიოვიცე | 1.80 | 4.20 | 2.50 | 1.25 | 1.04 | 1.56 |
| | | **ჰოკეი. გერმანია** | | | | | | |
| | | **9 მარტი** | | | | | | |
| 22:30 | 693 | ჰამბურგი-ფრანკფურტი | 2.00 | 4.20 | 2.25 | 1.35 | 1.05 | 1.46 |
| | | **10 მარტი** | | | | | | |
| 22:30 | 694 | ჰანოვერი-აისბარენი | 2.20 | 4.20 | 2.10 | 1.44 | 1.07 | 1.39 |
| 22:30 | 695 | ინგოლშტადტი-კრეფელდი | 1.65 | 4.30 | 3.20 | 1.19 | 1.08 | 1.83 |
| 22:30 | 696 | მანჰაიმი-ნიურნბერგი | 2.10 | 4.20 | 2.20 | 1.39 | 1.07 | 1.44 |
| 22:30 | 697 | აუგსბურგი-კიოლნი | 2.20 | 4.20 | 2.10 | 1.44 | 1.07 | 1.39 |
| 22:30 | 698 | დიუსელდორფი-კასელი | 1.55 | 4.30 | 3.50 | 1.13 | 1.07 | 1.92 |
| 22:30 | 699 | დუისბურგი-იზერლონი | 2.00 | 4.20 | 2.25 | 1.35 | 1.05 | 1.46 |
| | | **კალათბურთი. ევროლიგა** | | | | | | |
| | | **9 მარტი** | | | | | | |
| 22:15 | 882 | ულქერი-რეალი | 2.00 | 12.00 | 1.60 | 1.71 | 1.00 | 1.41 |
| 22:45 | 886 | ჟალგირისი-უნიკახა | 1.90 | 12.00 | 1.80 | 1.64 | 1.00 | 1.56 |
| 23:45 | 887 | ბოლონია-მაკაბი | 1.70 | 12.00 | 1.95 | 1.48 | 1.00 | 1.67 |
| 23:45 | 888 | ბარსელონა-ოლიმპიაკოსი | 1.20 | 12.00 | 3.30 | 1.09 | 1.00 | 2.58 |
| 23:45 | 889 | ბამბერგი-ცსკა | 3.80 | 12.00 | 1.20 | 2.88 | 1.00 | 1.09 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10447 | პალერმო-შალკე | 2.85 | 2.00 | 3.20 | 1.17 | 1.50 | 1.23 |
| 10448 | ლილი-სევილია | 2.70 | 2.00 | 3.50 | 1.14 | 1.52 | 1.27 |
| 10449 | მიდლსბრო-რომა | 3.20 | 2.00 | 2.85 | 1.23 | 1.50 | 1.17 |
| 10450 | უდინეზე-ლევსკი | 1.85 | 2.20 | 5.50 | 1.00 | 1.38 | 1.57 |
| 10451 | სტიაუა-ბეტისი | 2.70 | 2.00 | 3.50 | 1.14 | 1.52 | 1.27 |
| 10452 | ბაზელი-სტრასბური | 2.30 | 2.00 | 4.40 | 1.06 | 1.51 | 1.37 |
| 10453 | მარსელი-ზენიტი | 2.10 | 2.00 | 5.00 | 1.02 | 1.47 | 1.42 |
| 10454 | რაპიდი(ბ)-ჰამბურგი | 3.20 | 2.00 | 2.90 | 1.23 | 1.52 | 1.18 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11447 | პალერმო-შალკე | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11448 | ლილი-სევილია | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11449 | მიდლსბრო-რომა | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11450 | უდინეზე-ლევსკი | 2.10 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11451 | სტიაუა-ბეტისი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11452 | ბაზელი-სტრასბური | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.50 |
| 11453 | მარსელი-ზენიტი | 2.50 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11454 | რაპიდი(ბ)-ჰამბურგი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.50 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12447 | პალერმო-შალკე | 1.70 | 1.90 |
| 12448 | ლილი-სევილია | 1.60 | 2.00 |
| 12449 | მიდლსბრო-რომა | 1.70 | 1.90 |
| 12450 | უდინეზე-ლევსკი | 1.70 | 1.90 |
| 12451 | სტიაუა-ბეტისი | 1.60 | 2.00 |
| 12452 | ბაზელი-სტრასბური | 1.70 | 1.90 |
| 12453 | მარსელი-ზენიტი | 1.60 | 2.00 |
| 12454 | რაპიდი(ბ)-ჰამბურგი | 1.60 | 2.00 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 13447 | პალერმო-შალკე | 1.70 | 1.90 |
| 13448 | ლილი-სევილია | 1.70 | 1.90 |
| 13449 | მიდლსბრო-რომა | 1.70 | 1.90 |
| 13450 | უდინეზე-ლევსკი | 1.70 | 1.90 |
| 13451 | სტიაუა-ბეტისი | 1.70 | 1.90 |
| 13452 | ბაზელი-სტრასბური | 1.70 | 1.90 |
| 13453 | მარსელი-ზენიტი | 1.70 | 1.90 |
| 13454 | რაპიდი(ბ)-ჰამბურგი | 1.70 | 1.90 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14447 | პალერმო-შალკე | 1.85 | 1.95 |
| 14448 | ლილი-სევილია | 1.80 | 2.00 |
| 14449 | მიდლსბრო-რომა | 1.90 | 1.90 |
| 14450 | უდინეზე-ლევსკი | 1.30 | 2.50 |
| 14451 | სტიაუა-ბეტისი | 1.80 | 2.00 |
| 14452 | ბაზელი-სტრასბური | 1.70 | 2.20 |
| 14453 | მარსელი-ზენიტი | 1.40 | 2.40 |
| 14454 | რაპიდი(ბ)-ჰამბურგი | 1.95 | 1.85 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15447 | პალერმო-შალკე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15448 | ლილი-სევილია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15449 | მიდლსბრო-რომა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15450 | უდინეზე-ლევსკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15451 | სტიაუა-ბეტისი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15452 | ბაზელი-სტრასბური | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15453 | მარსელი-ზენიტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15454 | რაპიდი(ბ)-ჰამბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16447 | პალერმო-შალკე | 1.70 | 1.90 |
| 16448 | ლილი-სევილია | 1.55 | 2.10 |
| 16449 | მიდლსბრო-რომა | 1.90 | 1.65 |
| 16450 | უდინეზე-ლევსკი | 1.20 | 3.30 |
| 16451 | სტიაუა-ბეტისი | 1.55 | 2.10 |
| 16452 | ბაზელი-სტრასბური | 1.40 | 2.50 |
| 16453 | მარსელი-ზენიტი | 1.25 | 3.00 |
| 16454 | რაპიდი(ბ)-ჰამბურგი | 1.80 | 1.70 |

### გოლი:წყვილი-1ლუ კენტი-2.
(0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17447 | პალერმო-შალკე | 1.85 | 1.95 |
| 17448 | ლილი-სევილია | 1.85 | 1.95 |
| 17449 | მიდლსბრო-რომა | 1.85 | 1.95 |
| 17450 | უდინეზე-ლევსკი | 1.85 | 1.95 |
| 17451 | სტიაუა-ბეტისი | 1.85 | 1.95 |
| 17452 | ბაზელი-სტრასბური | 1.85 | 1.95 |
| 17453 | მარსელი-ზენიტი | 1.85 | 1.95 |
| 17454 | რაპიდი(ბ)-ჰამბურგი | 1.85 | 1.95 |

ევროპის ერთა თასი 2006. მესამე ტური

## საქართველო VS პორტუგალია

11 მარტი. თბილისი. ეროვნული სტადიონი. 14 საათი

# ირაკლი აბუსერიძე:
# საქმე ახლავე უნდა მოვამთავროთ



ბაჩო კვირიკაშვილის ფოტო

*პორტუგალიასთან ჯახში საქართველოს ნაკრებს მებრძოლი მორკინალი ბესიკ უდესიანი რომ დააკლდა, გუშინ გაცნობეთ. უდესიანს მამა გარდაეცვალა. ბორჯღალოსანთა მწვრთნელებმა მის ნაცვლად, საფრანგეთიდან გიორგი ჩხაიძეს უხმეს, რომელიც დღეს შეუერთდება საძმოს. მანამდე კი ბორჯღალის კაცები შეკრებას აგრძელებენ და დღეში ორჯერადი ვარჯიშებით საპორტუგალიოდ ძვალ-რბილს იმაგრებენ. ჩვენების ბანაკში შერკინების გამთამაშებელს მრავალ ჯახვადატანილ ირაკლი აბუსერიძეს წინასამატჩო ინტერვიუ ჩამოვართვით*

— ბოლო სამი წელია, პორტუგალიასთან მარცხდებით. ეს რის ბრალია?

— პორტუგალიამ საგრძნობლად მოუმატა, ჩვენ კი იმ ავბედით სამ მატჩში ერთხელაც არ გვყავდა ძირითადი შემადგენლობა. პორტუგალიელთა პროგრესის მთავარი მიზეზი ისაა, რომ მათ შვიდკაცა რაგბი პროფესიული გახადეს და, აგერ, ოთხი წელია, ევროპაში პირველობას არავის უთმობენ. ჩვენც გვიგებენ. მათი უკანა ხაზი ძალიან დაიხვეწა და ნებისმიერი მეტოქისთვის საშიში გახდა. მართლაც, კარგი უკანა ხაზი ჰყავთ, ფეხითაც კარგად თამაშობენ და სულ მოძრაობაში არიან.

— შაბათს ოპტიმალური შემადგენლობა გეყოლებათ?

— რა თქმა უნდა. მე ვიტყოდი, რომ 2001 წლის შემდეგ, როცა ევროპის ერთა თასი მოვიგეთ, ასეთი კარგი გუნდი არ გვყოლია.

— მაგრამ არ გეყოლებათ ბესიკ უდესიანი...

— „სვანის" არყოფნა ჩვენთვის დიდი დანაკლისია. ბოლო ორი-სამი წელიწადია, ჩვენი შერკინების შემკვრელი ისაა — როდესაც ასეთი მატჩის წინ საოცარი ჯანის კაცი გაკლდება, თავისთავად დაგეტყობა. თუმცა, გუნდი იმიტომ ვართ, რომ ბესოს რამენაირად მაინც შევუმსუბუქოთ ტკივილი, პორტუგალიას მოვუგოთ და თანადგომა ასე გამოვხატოთ.

— **ამისთვის რა არის საჭირო?**

— შერკინებით მაგრად უნდა მივაწვეთ, თავიდანვე უნდა დავჩეჩქვოთ. შეტევის ბოლოსკენ კი უკან ხაზს მივცეთ სივრცე და უპირატესობა.

— **ამისთვის ჩვენი უკანა ხაზი მზად არის?**

— ადრინდელთან შედარებით, უკანახაზელებმა, მართლაც, მოვუმატეთ. ვარჯიშებზე ყველაფერს დალაგებულად ვაკეთებთ. თანაც წლეულს მატჩიდან მატჩამდე ერთკვირიანი შუალედი გვაქვს და ისე გამოვიდა, რომ სულ ერთად ვართ. ამით გუნდი უფრო შეიკრა და ჩამოყალიბდა.

— **რა იქნება პორტუგალიელთა უპირატესობა?**

— ისევ და ისევ მათი უკანა ხაზი, მაგრამ მათ ჩესაჩერებლად მზად ვართ. თანაც პორტუგალიელებს ერთი დიდი მინუსი აქვთ. ჯანიანი შერკინება კი ჰყავთ, მაგრამ შეტაკებას და კონტაქტს ერიდებიან. არ ვიცი, შიში აქვთ თუ სხვა რამე, მაგრამ ეს ჩვენთვის უპირატესობაა. კონტაქტ-კონტაქტ უნდა დავშალოთ პორტუგალიელები და მერე უკანა ხაზს მივცეთ ლაღი თამაშის საშუალება.

— **რუმინეთთან მატჩში ჩვენს უკანა ხაზში ყოველთვის ჩანდა ნაპრალი, თანაც გამოცდილი პეტრე მიტუ ფეხით ურტყამდა ბურთს და მერე რუმინეთი შერკინებით იღებდა უპირატესობას...**

— მართალი ხარ. როდესაც იმ მატჩის ვიდეოფირი ვნახეთ, ჩვენი შეცდომებიც თვალნათლივ გამოჩნდა. ახლა თითქმის ყველაფერი გამოვასწორეთ და დაცვაში მოშიშვლებული ადგილი აღარ გვექნება. ეს რომ ვერ გავაკეთოთ, პორტუგალია დიდ უპირატესობას მოიპოვებს, რადგან კარგი დამრტყმელები ჰყავს და კონტრშეტევაზე გონივრულად და კომბინაციურად გადმოდიან.

— **წინა წლებთან შედარებით, ეს უფრო რთული მატჩი იქნება თუ — პირიქით?**

— რთული მატჩი რომ იქნება, თავისთავად ცხადია, მაგრამ აუცილებლად უნდა მოვიგოთ, თანაც დიდი სხვაობით. ჩვენ უკან დასახევი გზა აღარ გვაქვს, მარცხის შემთხვევაში რუმინეთზე ვიქნებით დამოკიდებული. ვაიდა, რუმინეთს პორტუგალიასთან დაუცდა ფეხი, მერე სულაც მესამე ადგილზე ჩაქვეითდებით — მსოფლიოს თასზე გასამგზავრებლად ჯახირი მოგვიწევს. ამიტომ საქმე შაბათსვე უნდა მოვამთავროთ და პორტუგალიას გადავუაროთ.

**ბაჩო სვანიძე**



ბაჩო კვირიკაშვილის ფოტო

# რამ გაამგელა პორტუგალია
## პროფესორი მწვრთნელი და ლობისტი მილიონერი

**შაბათს** საქართველოს ნაკრები ერთა თასის ბოლო მფლობელ პორტუგალიას ეჯახება. ჩვენებს ბოლო სამი წლის ვალი ერთბაშად აქვთ გადასახდელი. შარშან, შარშანწინ და იმისწინ პორტუგალიელმა „მგლებმა" შინ თუ გარეთ, ყველგან მოუგეს ბორჯღალოსნებს. ჰოდა, ახლა ის დროა, 2004 წლის აქეთ შინ დაუმარცხებელმა ქართველებმა პირინეელები მოდრიკონ და ერთა თასზე ჩვენს ქვემოთ მიუჩინონ ადგილი.

პორტუგალია რომ მომძლავრდა, ეს მათებური მილიონერის რაულ მერტინშის და „მგლების" პროფესორი მწვრთნელის ტომაშ მორაეშის დამსახურებაა. მერტინში ფირა-აერის (ევროპის რაგბის ფედერაცია) დესპანია რაგბის საერთაშორისო საბჭოში (ირბ). ამ კაცმა იმდენი ქნა, შარშან ევროპაში ტურნეზე ჩამოფრენილი ფიჯელები პორტუგალიაში შეიტყუა, მერე კი ირბ-ის ფულებით სამხრეთ აფრიკაშიც წაასხა „მგლები". ერთი სიტყვით, პორტუგალიას მსოფლიო რაგბის მთავარ ოფისშიც ჰყავს ფულიანი ლობი, ვისი გამოყენებაც ირბ-ისაც ხელს აძლევს და ყველაფერს აკეთებს პორტუგალიის მსოფლიოს თასზე გასათრევად, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენებისთვის პორტუგალია დაუმარცხებელი იყოს. ისე, სადაც სამართალია, ისიც სათქმელია, რომ პორტუგალიელებს მსაჯებიც მალიმალ აშველებენ სასტვენს. მეტადრე ჩვენებთან, რაკი რუმინელებს ამას ვერ უბედავენ.

1997 წელს ფრანგმა მსაჯმა ალენ ფერნანდესმა ისე უკუღმართად უსტვინა ლისაბონში, რომ ქართველებს მოედანზევე დროშის ტარით გაალახვინა თავი. შარშანწინ კი თბილისში იტალიელმა ლომბარდიმ, პორტუგალიელი ჯარიმას რომ ურტყამდა, სამი მეტრით წინ წაწეული ბურთი ვერ „დაინახა". ერთი სიტყვით, პორტუგალიამ მსაჯებიც გაიშინაურა, მაგრამ ახლა ბორჯღალოსნები ისეთ ფორმაში არიან, მსაჯიანად უნდა მოუგონ ლათინოსებს. ცნობისთვის, საქართველო და პორტუგალია აქამდე 7-ჯერ შეხვედრიან ერთმანეთს და აქედან ოთხჯერ იმათ, სამჯერ კი ჩვენებმა მოიგეს. ბურთების სხვაობაში კი ბორჯღალოსნებს აქვთ უპირატესობა 170:157-თან.

### საქართველო VS პორტუგალია

| |
|---|
| 1997. 19 აპრილი. ლისაბონი<br>ფირას პირველობა |
| **პორტუგალია 21:17 საქართველო** |
| 2000. 6 თებერვალი. ლისაბონი<br>ერთა თასი |
| **პორტუგალია 30:32 საქართველო** |
| 2001. 17 თებერვალი. თბილისი<br>ერთა თასი |
| **საქართველო 36:12 პორტუგალია** |
| 2002. 16 თებერვალი. ლისაბონი<br>ერთა თასი |
| **პორტუგალია 23:27 საქართველო** |
| 2003. 16 თებერვალი. ლისაბონი<br>ერთა თასი |
| **პორტუგალია 34:30 საქართველო** |
| 2004. 15 თებერვალი. თბილისი<br>ერთა თასი |
| **საქართველო 14:19 პორტუგალია** |
| 2005. 5 თებერვალი. ლისაბონი<br>ერთა თასი |
| **პორტუგალია 18:14 საქართველო** |

# პარადოქსული წესრიგი
## მოუგე პორტუგალიას და ეთამაშე პორტუგალიას

**რუმინეთში** წაგებით სახელოვან ამბავში საქართველოს ნაკრებს ბევრი არაფერი დაუკარგავს. ბორჯღალოსნებმა ბუქარესტში დატოვეს ჩვენს შორის საცილო ანთიმოზ ივერიელის თასი, მაგრამ, რაც არ უნდა პარადოქსული იყოს, ეგებ ეს წაგება ჩვენებისთვის სარგო უფრო გამოდგეს. მთავარია, შაბათს აუცილებლად დაამარცხოს პორტუგალია, ამით 2005-06 წლების ერთა თასის ჯამური მონაგრით მეორე ადგილს დაიბევებს და 2007 წლის მსოფლიოს თასზე წასასვლელად უფრო იოლ გზას დაადგება, ვიდრე პირველზე გასვლით. საერთაშორისო რაგბის მამებმა ისე ვირ-ეშმაკურად შეადგინეს მსოფლიოს თასის შესარჩევი ეტაპი, რომ ჩვენებს ერთა თასზე მეორე ადგილზე გასვლა თასის მოგებას უჯობთ.

თუ ბორჯღალოსნებმა შაბათს შემუსრეს პორტუგალია და ორწლიანი ჯამით საერთათასო მეორე ადგილი დაიბევეს, ადგილები ალბათ ასე განაწილდება: რუმინეთი, საქართველო, პორტუგალია, რუსეთი, ჩეხეთი, უკრაინა.

ამ შემთხვევაში შესარჩევი ციკლის მეოთხე რაუნდში არიფი გუნდები ასე დაწყვილდებიან: რუსეთი — უკრაინა, ჩეხეთი — ესპანეთი ან გერმანია. ესენი შინ და გარეთ პრინციპით ითამაშებენ.

ერთა თასის მოწინავეები კი სამგუნდა ორ ჯგუფს შეადგენენ. ჯგუფები სავარაუდოდ ასეთი იქნება:

| |
|---|
| **A ჯგუფი** |
| იტალია |
| პორტუგალია |
| რუსეთი |
| **B ჯგუფი** |
| რუმინეთი |
| საქართველო |
| ჩეხეთი — ესპანეთი (ან გერმანია) |

მოწინავე ჯგუფი ერთწრიანია და სტუმარ-მასპინძლობა აქედანვე დადგენილია. ჩვენები შინ ლებულობენ ჩეხეთ-ესპანეთ-გერმანიას შორის უკეთეს და, რა თქმა უნდა, ამარცხებენ. მერე ბორჯღალოსნები სტუმრად ეთამაშებიან რუმინეთს და თუ ღმერთმა ინება და მოიგეს, პირდაპირ გადიან მსოფლიოს თასზე. თუ წააგეს ჯგუფში მეორე ადგილს იკავებენ და A ჯგუფის მეორე გუნდს პორტუგალია-რუსეთ შორის უკეთეს ეთამაშებიან შინ და გარეთ. ამათ იმიტომ, რომ იტალია ყველა ვარიანტში პირდაპირ წავა საფრანგეთში. ჰოდა, შეიძლება, ისეც მოხდეს, რომ ისევ პორტუგალიასთან მოგვიწიოს ორრაუნდიანი ბრძოლა. ვინიცობაა, აქედანაც ვერ გავედით, შანსი კიდევ რჩება. 2007 წლის გაზაფხულამდე შინ და გარეთ ჩვენებმა ჯერ ნამიბია-მაროკოს შორის გამარჯვებულს უნდა მოუგონ, მერე კი ურუგვაი-აშშ-ჩილეს შორის უკეთესს.

ასე რომ, შაბათს პორტუგალიის დამარცხება და ერთა თასზე მეორე ადგილის დაკავება სჯობს, პირველზე გასვლას, რადგან ამ შემთხვევაში, სამგუნდა ჯგუფში შინ ვეთამაშებით რუმინეთს და სტუმრად ესპანეთს, ევროპის რაგბის ფედერაციის სათავეებში მოკალათებული ლათინური ლობი კი ყველაფერს გააკეთებს, ჩვენებს რომ კისერი წაატეხინოს.

მოკლედ ცოტა ჩახლართულადაა საქმე, მაგრამ მსოფლიო რაგბის კონსერვატორ მამებს ასე დაუწერიათ და ბორჯღალის გუნდსაც ამ გზის გავლა მოუწევს.

**ბაჩო სვანიძე**



## მივიღებ და მოვაწერ

*ამ სტრიქონებს რომ კითხულობთ, ვინძლო გორდონ ჰერბერტი უკვე ოფიციალურად იყოს საქართველოს ნაკრების მწვრთნელი. თუ არ არის, ალბათ, რამდენიმე საათში გახდება. გუშინ, საფრანგეთში რომ ნაშუადღევი იყო, ჰერბერტს პარიზში შევეხმიანეთ. მან გვითხრა, თბილისიდან გამოგზავნილ კონტრაქტს სავარაუდოდ დღეს მივიღებ და ხელსაც მოვაწერო. საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ ცალმხრივად ხელმოწერილი კონტრაქტი ჰერბერტს ორშაბათს გაუგზავნა, რითაც ფაქტობრივად წერტილი დაუსვა კანადელი სპეციალისტის ჩვენს ნაკრებში დანიშვნის ხანგრძლივ პროცესს*

# საქართველოს მწვრთნელი ფოსტამ დააყოვნა

— **ბატონო გორდონ, მოგილოცოთ საქართველოს ნაკრების მწვრთნელად ხელმეორედ დანიშვნა?**

— ჯერ არ მიმიღია კონტრაქტი, ისე კი ვიცი, რომ გამოგზავნილია. არ ვიცი, ალბათ მცირე საფოსტო შეფერხებაა და იმედია, დღეს მომივა.

— **ესე იგი, ჯერ არ ითვლებით ჩვენი ნაკრების მწვრთნელად...**

— ოფიციალურად ასეა, თუმც არა მგონია, ეს დიდხანს გაგრძელდეს. საქართველოს კალათბურთის ფედერაციასთან აბსოლიტურად ყველა პირობაზე ვარ შეთანხმებული და მივიღებ თუ არა კონტრაქტს, ხელსაც მოვაწერ. ისე კი, თქვენი ნაკრების მწვრთნელი იმ მომენტიდან გავხდი, რაც ფედერაციის ხელმძღვანელებს კონტრაქტის პირობებზე შევუთანხმდი. ვფიქრობ, ფორმალობები ამ საღამოს მოგვარდება, როცა თბილისიდან ხელშეკრულება ჩამომივა.

— **თქვენი თანაშემწე კვლავ კიმ შილდსი იქნება?**

— ჯერ არ გადამიწყვეტია. შესაძლოა, შილდსი დარჩეს ჩემს ასისტენტად, ანაც სხვა დამხმარე ავიყვანო.

— **საქართველოს კალათბურთის ფედერაციაში გვითხრეს, რომ შემონდ უილიამსის საკითხიც თქვენ უნდა გადაწყვიტოთ...**

— ვნახოთ, რა გარანტიებს მოგვცემს უილიამსი. ჯერ ამ საკითხზე არ ვფიქრობ.

— **საქართველოში როდის ჩამოხვალთ და ნაკრებში მუშაობას როდის შეუდგებით?**

— სეზონი დამთავრდება და საქართველოშიც ჩამოვალ. ჯერ ჩემს კლუბ პარიზის „რასინგში" ვარ დაკავებული. სავარაუდოდ, ივნისის დასაწყისში შევუდგები თქვენს ნაკრებში მუშაობას.

**ირაკლი პერტაია**



*ადრიატიკის ლიგის მომდევნო ტურში ლიუბლიანის „ოლიმპიას" სერიოზული გამოცდა ელის: თანაქალაქელ „სლოვანს" ხვდება. სატურნირო თვალსაზრისით ამ მატჩს უმნიშვნელო დატვირთვა აქვს, თუმც ინტრიგა მაინც არ აკლია. საქმე ისაა, რომ სლოვენიაში „ოლიმპიას" ერთადერთი სერიოზული კონკურენტი ჰყავს და ესაა „სლოვანი"... თუმც „ოლიმპიას" ქართველ უკანახაზელ მანუჩარ მარკოიშვილთან დაკავშირება სულ სხვა მიზეზით გადავწყვიტეთ: გუნდის ოფიციალურ ვებგვერდზე გაჩნდა ინფორმაცია, რომ მანომ ახალგაზრდა ოლიმპიელთან ერთად ივარჯიშა და პატარებს ავტოგრაფები დაურიგა...*

# შეხვედრა მომავალთან

## მარკოიშვილი კემპისთვის პატარაა

— **„ოლიმპიას" მცირე ასაკობრივ ჯგუფთან გივარჯიშია. კემპი ხომ არ მოაწყე?**

— რა, კემპი? ნუთუ ისეთი მაგარი ვარ, რომ სლოვენიის უძლიერესი გუნდის მომავალ თაობას ვარჯიშები ჩავუტარო?! უბრალოდ, ბავშვებთან მივედი სტუმრად და მათთან ერთად ვივარჯიშე. მეც იმასვე ვაკეთებდი, რასაც პატარები — მწვრთნელის დავალებებს ვასრულებდი და ბავშვებს ძალიან უხაროდათ.

— **რატომ მაინცდამაინც შენ?**

— მარტო მე არ ვყოფილვარ, ანალოგიურ ვარჯიშზე გაუშვეს ჩემი თანაგუნდელი დუშან დრობნიაკიც, ოღონდ ის „ოლიმპიას" ბავშვებთან არ წასულა, რომელიღაც სკოლის გუნდში ივარჯიშა. ცოტა ხნის წინ პატარებთან ვარჯიში კიდევ ერთ ოლიმპიელ საშო ოზბოლტს მოუწია. ეს აქცია თითქმის ყველა კლუბში ტარდება. ამით გუნდის მომავალ თაობას სტიმულს აძლევენ. ბავშვებს მეტი რა უნდათ, იმ კალათბურთელებთან ვარჯიშობენ, ვისაც ტელევიზორში ხედავენ. მე 8-9-წლიანების გუნდთან ვივარჯიშე, ეს იყო და ეს. როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, პატარებმა ავტოგრაფები მთხოვეს.

— **ახლა „სლოვანთან" მატჩზეც დაგეკითხები...**

— მე ალბათ არ ვითამაშებ, რადგან კოჭი მტკივა, დიდი მცდელობის მიუხედავად, დღეს ვერ ვივარჯიშე.

— **ტრავმა ხომ არ მიიღე?**

— არა, ეს ის ფეხია, რომელზეც ოპერაცია გადავიტანე. ტკივილები ჯერაც მაწუხებს და ახლა ისე მომემატა, ვერ დავრბივარ. ექიმებმა თავიდანვე გამაფრთხილეს, რომ ტკივილები დროდადრო თავს შემახსენებდა და მეც ამიტომ არ ვნერვიულობ.

— **ფეხის ტკივილის ბრალი ხომ არ იყო, ადრიატიკის ლიგის გასულ ტურში რომ შედარებით მოკრძალებული იყავი?**

— არა, „შიროკის" რომ მოვუგეთ, ფეხი არ მაწუხებდა, უბრალოდ, 5 ქულაზე მეტი ვერ მოვაგროვე. სამაგიეროდ, დაცვაში არა მიშავდა, საკუთარი თამაშით კმაყოფილი დავრჩი.

**ირაკლი პერტაია**

გადრი ქათილაძის ფოტო



ჯერაც უცნობია, შემონდ უილიამსი დაუბრუნდება თუ არა სპორტის სასახლეს

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

7 მარტი

**ატლანტა 113:106 გ. სტეიტი**

**ატლანტა:** აივი (4), ჯონსონი(42 ქულა, 9 პასი, 6 მოხსნა), სმიტი (12), ჰარინგტონი (21), **ფაჩულია** (42 წუთი, 11 ქულა, 10 მოხსნა, 1 პასი, 1 დაფარება); უილიამსი (14 ქულა, 10 მოხსნა), სტუდემაიერი (9), ბატისტა

**გოლდენ სტეიტი:** ფიშერი (12), რიჩარდსონი (42), დანლივი (13), მერფი (6 ქულა, 12 მოხსნა), ფოილი (6); პიეტრუსი (10), დევისი (9), დიოგუ (4), ელისი (4), ბიედრინსი

**ვაშინგტონი 115:116 ბოსტონი**

ძირითადი დრო/104:104

**ვაშინგტონი:** არენასი (39), ჯემისონი (25 ქულა, 12 მოხსნა), ბატლერი (23)

**ბოსტონი:** პირსი (31), გომესი (27)

**ინდიანა 92:107 ნიუ იორკი**

**ინდიანა:** სტოიაკოვიჩი (20)

**ნიუ იორკი:** როუზი (21)

**კლივლენდი 106:99 ტორონტო**

**კლივლენდი:** მიურეი (24), ჯეიმსი (17 ქულა, 12 მოხსნა, 8 პასი), გუდენი (16)

**ტორონტო:** ჯეიმსი (31), ბოში (28)

**მინესოტა 87:93 ჰიუსტონი**

**მინესოტა:** ბანკსი (26), ბლუნტი (18), გარნეტი (15 ქულა, 21 მოხსნა)

**ჰიუსტონი:** მინი (30 ქულა, 13 მოხსნა, 4 დაფარება), ალსტონი (17)

**დალასი 93:87 პორტლენდი**

**დალასი:** ტერი (26), ნოვიცკი (25 ქულა, 10 მოხსნა), სტეკჰაუსი (21)

**პორტლენდი:** რენდოლფი (33)

**ჩიკაგო 95:87 ნიუ ჯერსი**

**ჩიკაგო:** ნოჩიონი (24), დენგი (22)

**ნიუ ჯერსი:** კრსტიჩი (29 ქულა, 13 მოხსნა), კარტერი (25), ჯეფერსონი (16 ქულა, 10 მოხსნა)

**კლიპერსი 98:85 სან ანტონიო**

**კლიპერსი:** ბრენდი (30)

**სან ანტონიო:** პარკერი (22)



„ატლანტას" ლიდერმა ჯო ჯონსონმა „გოლდენ სტეიტს" 42 ქულა ჩაუგდო

| აღმოსავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | |
| ნიუ ჯერსი | 32 | 28 | 53,3 |
| ფილადელფია | 30 | 29 | 50,8 |
| ბოსტონი | 25 | 35 | 41,7 |
| ტორონტო | 21 | 39 | 35,0 |
| ნიუ იორკი | 17 | 43 | 28,3 |
| **ცენტრალური** | | | |
| დეტროიტი | 48 | 11 | 81,4 |
| კლივლენდი | 35 | 26 | 57,4 |
| ინდიანა | 30 | 27 | 52,6 |
| მილუოკი | 29 | 30 | 49,2 |
| ჩიკაგო | 27 | 33 | 45,0 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | |
| მაიამი | 39 | 20 | 66,1 |
| ვაშინგტონი | 30 | 29 | 50,8 |
| ატლანტა | 20 | 39 | 33,9 |
| ორლანდო | 20 | 40 | 33,3 |
| შარლოტი | 16 | 45 | 26,2 |

| დასავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | |
| სან ანტონიო | 47 | 13 | 78,3 |
| დალასი | 47 | 13 | 78,3 |
| მემფისი | 33 | 27 | 55,0 |
| ნიუ ორლეანი | 31 | 28 | 52,5 |
| ჰიუსტონი | 28 | 33 | 45,9 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | |
| დენვერი | 33 | 28 | 54,1 |
| იუტა | 29 | 31 | 48,7 |
| მინესოტა | 26 | 33 | 44,1 |
| სიეტლი | 23 | 37 | 38,3 |
| პორტლენდი | 19 | 41 | 31,7 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| ფინიქსი | 42 | 17 | 71,2 |
| კლიპერსი | 34 | 25 | 57,6 |
| ლეიკერსი | 31 | 30 | 50,8 |
| საკრამენტო | 29 | 31 | 48,3 |
| გ. სტეიტი | 25 | 35 | 41,7 |

ძიუდო

*შარშანდელ და შარშანწინდელ ევროპის ჩემპიონატებზე საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა თითო მედალი მოიპოვა. კვარცხლბეკზე ორჯერვე დავით ქევხიშვილი ავიდა. წლევანდელი საევროპო შემადგენლობა ჯერ არ გარკვეულა, თუმც რამდენიმე სპორტსმენს მაისის ბოლოს ტამპერეს ტატამზე გასვლა უკვე განაღდებული აქვს. მათ შორისაა ქევხიშვილიც. ნახევარწლიანი ტრავმიანობისა და უქმობის მერე ამ დღეებში პრაღის მსოფლიოს თასზე დაბრუნდა და უმალ ჩემპიონი გახდა. „ქევხა" ევროპამდე ერთ ტურნირსაც იჭიდავებს, იქამდე კი „პლეხანოვის" დარბაზში პირად მწვრთნელ გურამ მოდებაძესთან და ნაკრების ქალაქგარე შეკრებებზე მოემზადება*


გურამ [illegible] ფოტო

## ალალი ინტერვიუ ჩეხურის შემდეგ

# დავით ქევხიშვილის იღბალი და ფსიქოლოგია

— შარშან სექტემბერში ჩატარებული მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ არც ერთ ტურნირზე არ მიჭიდავია ტრავმის გამო. დეკემბერში საქართველოს ჩემპიონატი გამოვტოვე. წლევანდელი სეზონი იაპონიაში, ძიგორო კანოს მემორიალის შემდგომი ერთობლივი წვრთნებით უნდა გამეხსნა, მაგრამ პირველივე ვარჯიშზე ნეკნი დავიზიანე და აგერ პრაღის მსოფლიოს თასამდე ვერაფრით შევძელი საჭიდაოდ გასვლა.

— **დაბრუნდი და ჩემპიონიც გახდი. ელოდი ოქროს?**

— ამხელა იძულებით შესვენებას ჩემს ჭიდაობაზე პატარა კვალიც არ დაუტოვებია. ჩეხურ ტატამზე გასვლამდეც მჯეროდა, რომ კარგად ვიჭიდავებდი. ბოლო პერიოდში პლეხანოვის დარბაზში ისეთი მონდომებით ვემზადებოდი და იმხელა მონატრება მქონდა, სატურნირო გამოცდილების ნაკლებობა ოდნავადაც არ მიგრძვნია.

— **ბოლო წლებში, მგონი, სეზონს არ ჩაუვლია, ტრავმის გამო რაღაც პერიოდი რომ არ გაგეცდინოს...**

— მართლაც, პატარ-პატარა პრობლემები სულ მქონდა. ხან რა მაწუხებდა, ხან რა. საბედნიეროდ, ახლა სრულიად ჯანმრთელი ვარ.

— **ბევრჯერ უთქვამთ, ქევხიშვილის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ფსიქოლოგიური მომზადებააო. ეთანხმები?**

— საერთოდ ფსიქოლოგიური მზადყოფნა ფიზიკურ მომზადებაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია. სულ თავისუფლად შეიძლება ფსიქოლოგიური მუხტით ნაკლები ფიზმომზადებაც კი გაანეიტრალო. შეიძლება მაგ პრობლემამ რომელიმე ტურნირზე მართალაც შემიშალა ხელი, მაგრამ ვერავის დავეთანხმები, თითქოს სულ ფსიქოლოგიური პრობლემების გამო ვაგებდე.

— **ხშირად ყოფილა, დიდ ტურნირებზე ფავორიტები დაგიმარცხებია, მერე კი გაცილებით სუსტთან წაგიგია. აბა, ამის მიზეზი რა იყო?**

— ხან ფიზიკურად არ ვიყავი კარგად მზად, ხან მეტოქეს ვერ ვაფასებდი სათანადოდ. ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატზეც ზედმეტმა თავდაჯერებამ დამღუპა. ისეთ მეტოქეებს ვაჯობე, უცნობ გერმანელთან მოვეშვი და დავისაჯე.

— **აქედან გამომდინარე, ცოტა ძნელია, უხერხულ მეტოქეზე გკითხო.**

— უხერხული ის მეტოქეა, რომელსაც ჯეროვნად არ აფასებ. საერთოდ კი ნებისმიერ ვარსკვლავთან შეიძლება ჭიდაობა. მით უმეტეს, ახალი წესების შემოღების შემდეგ. ბოლო დროს უფრო ტექნიკურად ვჭიდაობ. მსაჯები კი ამას უკვე გაცილებით დიდ ყურადღებას უთმობენ.

— **დიდ ტურნირებზე ოქროს მედლამდე სულ ცოტა გაკლდებოდა. ხომ არ თვლი, რომ უიღბლო ძიუდოისტი ხარ?**

— იღბალი არაფერ შუაშია. ყოველთვის რაღაც მაკლდა, თორემ ჩემპიონიც გავხდებოდი. რა ჯილდოებიც ავიღე, იმაზე მეტი არ მეკუთვნოდა.

— **მაინც ვინ იქნებიან 2006 წლის ევროპის ჩემპიონატის ოქროს ფავორიტები?**

— 73 კილოგრამი ისეთი წონაა, ყოველთვის ყველაზე მეტი მონაწილე გროვდება და კონკურენციაც გამორჩეულია. შესაბამისად, ფავორიტთა სიაც ბევრად მრავალრიცხოვანია, ვიდრე სხვა წონებში. აქვე ერთი საგულისხმო ფაქტიც — შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე მედლების კომპლექტი მთლიანად ევროპელებმა დაინაწილეს. ასე რომ, ტამპერეში დიდი ბრძოლები გაიმართება.

— **მწვრთნელის თქმით, მაისის ბოლომდე ერთხელაც გახვალ ტატამზე. შენი აზრით, ფორმაში ჩასადგომად მეტი სატურნირო გამოცდილება ხომ არ გჭირდება?**

— აპრილში ლისაბონის მსოფლიოს თასზე ვიჭიდავებ. ეს სრულიად საკმარისი იქნება. დანარჩენი დრო, ჯობს, ვარჯიშში გავატარო. ჩეხეთში წასვლამდე მკურნალობამ იმხელა სტიმული მომცა, ვერც კი წარმოიდგენთ. ტრავმებთან ერთად ბოლო დროს ფიზიკური სისუსტეც მაწუხებდა. გია ნაცვლიშვილმა ექიმ ლელა ვასაძესთან მიმიყვანა. საფუძვლიანი გამოკვლევა ჩავიტარე და სწორი მიმართულებით ვიმკურნალე. უდიდესი ტვირთი მომეხსნა.

**ოთარ მაღლაკელიძე**

ხელბურთი

## საქართველოს მე-16 ჩემპიონატი

# ჩემპიონებს ვერ შეუბედეს

**მოლოდინი** არ გამართლდა და ქალ-ვაჟ ხელბურთელთა ლიდერების მატჩები თუნდაც უმცირესი ინტრიგის გარეშე ჩათამაშდა.

საქართველოს უცვლელმა, ლამის უკვე მეთექვსმეტედ გაჩემპიონებულმა „სტუ-შევარდენმა" დასაწყისშივე გადაწყვიტა ხელბურთის კლუბ „თბილისთან" შეხვედრის ბედი თავის სასარგებლოდ. უკვე მეცხრე წუთზე ანგარიში გამანადგურებელი იყო — 7:0. მხოლოდ ამის შემდეგ მოახერხეს თბილისელებმა პირველი გოლის გატანა.

ტექნიკოსებმა ტაიმი ორმაგი სხვაობით (16:8) მოიგეს და თითქმის ასეთივე უპირატესობა დაფიქსირდა საფინალო სასტვენისას. ჩემპიონატის საუკეთესო მეგოლე გიორგი წივწივაძემ არც ისე ბევრი, მხოლოდ ცხრა ბურთი გაიტანა, თუმც მაინც უზარმაზარი უპირატესობით ლიდერობს ბომბარდირთა სიაში.

ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის ცენტრის „ქარიშხალამ" საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის „მამულთან" დაგეგმილი გამარჯვება მოიპოვა და „თბილისთან" სავიცეჩემპიონო ბრძოლას აგრძელებს.

ქალთა ჩემპიონი „თბილისი", რომელიც პრაქტიკულად ეროვნული ნაკრებია, კვლავ უდანაკარგოდ ასპარეზობს. საქართველოს ნაკრებს ერთ თვეში ბოსნია-ჰერცოგოვინაში „ჩელენჯ ტროფის" რვაგუნდიან ტურნირზე მოუწევს გამოსვლა.

შუა აპრილში კი ოცწლამდელი ჭაბუკები თანატოლთა ევრო ჩემპიონატში ჩაებმებიან. ოთხი ნაკრების საკვალიფიკაციო ტური 14-16 აპრილს თბილისში ან თელავში გაიმართება.

ხოლო მანამდე, მარტის მიწურულს ქალთა და ვაჟთა ეროვნული პირველობების მორიგი ტურები ჩატარდება.

**გია ახალაძე**


ბადრი [illegible] ფოტო

**ვაჟები**

სტუ-შევარდენი 32:17 ხკ თბილისი

ქარიშხალა 26:9 სსსსუ-მამული

| | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ-შევარდენი | 11 | 0 | 1 | +89 | 22 |
| თბილისი | 6 | 0 | 6 | +42 | 12 |
| ქარიშხალა | 6 | 0 | 6 | +14 | 12 |
| სსსსუ-მამული | 1 | 0 | 11 | -145 | 2 |

**ქალები**

თბილისი 28:13 ფოთი

ქუთაისი 11:9 წყალტუბო

| | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| თბილისი | 9 | 0 | 0 | +159 | 18 |
| ფოთი | 6 | 0 | 3 | +35 | 12 |
| ქუთაისი | 3 | 0 | 6 | -65 | 6 |
| წყალტუბო | 0 | 0 | 9 | -129 | 0 |

**მეგოლეები**

**ვაჟები**

| | | |
|---|---|---|
| გიორგი წივწივაძე | სტუ-შევარდენი | 134 |
| რატი მსხვილიძე | ქარიშხალა | 85 |
| ირაკლი ქირია | ხკ თბილისი | 68 |
| ლაშა სამარღანიშვილი | ხკ თბილისი | 66 |
| გიორგი კობახიძე | სტუ-შევარდენი | 54 |

**ქალები**

| | | |
|---|---|---|
| მარიეტა ბაინდურიანი | თბილისი | 76 |
| ირმა შონია | ფოთი | 63 |
| ინა ჭკუასელი | თბილისი | 59 |
| ვიკა ვეშაგური | თბილისი | 58 |
| მაია თავაძე | ქუთაისი | 42 |

## ჩემპიონთა ლიგა. ვაჟები

### მეოთხედფინალი

**ვესპრემი** (უნგრეთი) 21:23; 27:22 **მონპელიე** (საფრანგეთი)

**პორტლენდი** (ესპანეთი) 25:21; 23:26 **ბარსელონა** (ესპანეთი)

**ფლენსბურგ ჰანდევიტი** (გერმანია) 32:28; 32:34 **კილი** (გერმანია)

**სიუდად რეალი** (ესპანეთი) 34:27; 33:28 **პივოვარნა ლაშკო** (სლოვენია)

ნახევარფინალში 26 მარტს და 2 აპრილს შეხვდებიან

**სიუდად რეალი — ფლენსბურგ ჰანდევიტი**

**ვესპრემი — პორტლენდ სან ანტონიო**

ჰოკეი

## რეგულარული ჩემპიონატი

7 მარტი

**აილენდერსი 2:1 ნიუ ჯერსი**

*0:0 0:1 1:0 0:0 1:0*

*ბულიტების სერიაში*

0:1 დანგენბრუნერი (27), 1:1 პერიში (45), 2:1 გადამწყვეტი ბულიტი: ჰანტერი

**კოლუმბუსი 1:3 ჩიკაგო**

*0:0 1:1 0:2*

1:0 მალჰოტრა (30), 1:1 ვრბატა (38), 1:2 შარპი (47), 1:3 ბარნაბი (59)

**ედმონტი 3:4 დალასი**

*0:1 1:2 2:0 0:0 0:1*

*ბულიტების სერიაში*

0:1 ბუშე (18), 1:1 ტარნსტრიომი (27), 1:2 მიენტინენი (31), 1:3 იოკინენი (35), 2:3 რ. სმიტი (44), 3:3 ჰორკოფი (51), 3:4 გადამწყვეტი ბულიტი: ზუბოვი

**ბუფალო 3:2 ბოსტონი**

*1:1 2:1 0:0*

0:1 ბერჟერონი (9), 1:1 პომინვილი (12), 1:2 იურჩინა (24), 2:2 ვანეკი (32), 3:2 ჰეხტი (37)

**პიტსბურგი 4:5 ტამპა**

*0:1 1:2 3:1 0:0 0:1*

*ბულიტების სერიაში*

0:1 ბოილი (3), 1:1 მელოუნი (27), 1:2 აფანასენკოვი (28), 1:3 მოდინი (28), 1:4 ბოილი (41), 2:4 კროსბი (46), 3:4 მელიხარი (51), 4:4 უიტნი (60), 4:5 გადამწყვეტი ბულიტი: პროსპალი

**დეტროიტი: 2:5 ფინიქსი**

*1:3 1:0 0:2*

0:1 კომრი (7), 0:2 დევერო (10), სკაჩარდი (15), 1:3 დაციუკი (17), 2:3 შენაჰანი (23), 2:4 კომრი (50), 2:5 დოუნი (56)

**ტორონტო 5:3 მონრეალი**

*1:1 2:1 2:1*

0:1 ზედნიკი (6), 1:1 კაბერლე (7), სუნდინი (22), 3:1 ველვუდი (37), 3:2 მარკოვი (40), 4:2 ელისონი (47), 5:2 სუნდინი (48), 5:3 ჰიგინსი (52)

**სენტ ლუისი 1:2 კოლორადო**

*0:0 0:0 1:1 0:0 0:1*

*ბულიტების სერიაში*

1:0 ბეკმანი (45), 1:1 საკიკი (55), 1:2 გადამწყვეტი ბულიტი: ჰეიდუკი

**მინესოტა 2:3 ლოს ანჯელესი**

*0:0 1:0 1:2 0:1*

1:0 უოლცი (33), 2:0 უოლცი (43), 2:1 რენიკი (48), 2:2 კოსტოპულოსი (50), 2:3 ვისნოვსკი (62)

**კალგარი 2:3 ნეშვილი**

*0:1 1:2 1:0*

0:1 ლეგვანდი (16), 1:1 ფანიოფი (21), 1:2 ლეგვანდი (23), 1:3 ჯონსონი (29), 2:3 ჰუსელიუსი (45)

**ანჰაიმი 5:4 სან ხოსე**

*1:0 2:2 1:2 1:0*

1:0 ლუპული (11), 1:1 . ტორნტონი (21), 1:2 ჩიჩუ (28), 2:2 მაკდონალდი (36), 3:2 მაკდონალდი (38), 3:3 ერჰოფი (43), 4:3 პერი (53), 4:4 ბერნიე (54), 5:4 ოზოლინში (61)

## ტატიანა მაქსიმისთვის

ტატიანა ნავკა, ჯერაც გაუცივებელი ტურინის ოლიმპიადის ჩემპიონი ფიგურულ სრიალში, ჟურნალების გმირი ხდება. თანაც, კაცთა ჟურნალებისა. განთქმული „მაქსიმის" ფოტოგრაფები ტატიანას ოლიმპიადის დამთავრების მერე მიადგნენ და არასაყინულედ შეშილიფება სთხოვეს.





## პრინცი და ბავშვები

ჩვენთვის, ეგებ, სულ ერთიც იყოს, მაგრამ ბრიტანეთის კუნძულზე კრიკეტი ყველაფერია, აქტიური დასვენებაც, სულიერი საზრდოც და ხალხში გამოჩენის საშუალებაც. პრინცი ჩარლზი ბედფორდში ჩასულა და ბავშვთა საკრიკიტო სკოლაში შეუვლია.

## ზედაც თევზი

ავსტრალიური მელბურნი 15-16 მარტს ბრიტანეთის თანამეგობრობის თამაშებს მასპინძლობს და ქალაქშიც დიდი აჟიოტაჟია. ამ გრძელ ტივზე შემსხდარ თევზებს რომ ხედავთ, თითოეული სიმბოლურად წარმოადგენს მონაწილე ქვეყანას. თევზი (მონაწილე) სულ 72 ცალია.



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: პაატა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge